

მარტი

1938 წ.

№ 144

# დამოუკიდველი

## საქართველო

საქართველოს პოლიტიკური პარტიის დაგანვ.

შინაარსი:

მეთაური—21-ის პროც. დაბერლინ-რომის ლერძი

ბ-ნ ჰაიდარ ბამატის წარსულიდან.

რ. ინგილი—ბამატი და მისი ხიზები.

ქ. თაყაიშვილი—ჯვარის მონასტრის სეული...

დარბაისელი—რუსთაველის დღეები საქ. და რუს.

გ. ჭურული—ბათუმ-აჭარის მრარეები.

მ. —მე—ილია.

წერილი სოშოდან.

ქართველები პოლონეთში.

ქართველები ბერლინში.

რუსთაველის დღესასწაული სორბონში.

რედაქციისაგან.

### 21-ის პროცესი და ბოლონის დერბი

21-ის პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, როცა შუა ეკრობაში ერთი დიდი ამბავი მოხდა—აგსტრიის უსისხლოდ გაერთიანება გერმანია-სთან—, და ამიტომ პირველი სრულიად დაჩრდილა მეორემ. ჩვენის აზრით კი უსამართლო სტალინის «გენიოსობის» ას მიჩქმალვა, მით უფრო, რომ ბუნარინის, რიკოვის და სხვების გასამართლება ერთ-ერთი ხელსაყრელი პირობა იყო გერმანიის გაბედული ნაბიჯის კეთილად დასაგირგვინებლად.

მართლა, 21-ის პროცესში აშკარად და ნათლად აჩვენა მთელს კაცობრიობას საზარელი სურათი საბჭოთა კავშირის საბოლოო გახტნისა და გათახსირებისა, სახელმწიფო მექანიზმის სრული მომლისა, «მონოლიტურ» კომპარტიის სიკვდილისა, როგორც მისი შემქრელის ლენინის, კონომიტური და პოლიტიკური კრიზისის იმზომადე მიღწევისა, რომ საცაა ერთა ეს გულშემზარვი საპყრობილე შიგნიდან უნდა გამსყიდარიყო. ურლის-გიშინსკის ჯერ კიდევ არ გამოეტანათ ბრალდებულებისთვის სასიკვდილო განჩინება, როცა მსოფლიო საზოგადო აზრმა უკვე დასდო ეს მსჯავრი არა მარტო რეუიმს, არამედ თვით საბჭოთა კავშირსაც, როგორც სახელმწიფოს. მისი პრესტიუი, მორალური თუ ფიზიკური ძალა ისე და-ეცა ყველას თვალში, რომ თვით «მოკავშირე» საფრანგეთში ჯვარი დაუსვეს ისედაც მიძერალ იმე-დებს, რომ მოსკოვი დედსმე შესძლებდა მის მიერ ხელმოწერილ პაქტის განალდებას.

ეს საყველთაოდ აღიარებული ხალასი ფაქტი, რა თქმა უნდა, არ გამოებარა ბერლინს, გეოგრაფიულად სხვებზე უახლოეს და ისტორიულად ყველაზე უკეთ მოცდნეს «ავადმყოფ კაცის» ვითარებისა. წარმოიდგინეთ ერთ წამს, ძველი რუსეთი ისევ ფეხშე მდგარიყო, ან საბჭოთა კავშირი თუ გინდ ჩვეულებრივ დესპოტიად გამხდარიყო,—განა ასე იოლად გადასჭრიდა ფიურერი აგსტრიის კვანძს, რომელიც, აგრე ერთი საუკუნეა, პერიოდიულად ისმებოდა წეს-რიგში და დინასტიური თუ სხვა მოსაზრებით ისევ იხსნებოდა? კიდევ 1866 წელს, პრუსიელების აგსტრიელებზე გადამწყვეტ გამრჯვების შემდეგ, სადოვაში, მხოლოდ ბისმარკის ენერგიულმა ჩარევამ იხსნა აგსტრო-უნგრეთი დაშლისაგან, აქედან, აგსტრიის გერმანიაზე შემოერთებისაგან. მავრამ ოცი წლის წინ, დიდი ომის გათავებისას, ეგ ხომ ფაქტად იქცეოდა, ვერსალს რომ ვეტო არ დაეცო, რომელიც აშკარად ეწინაამდებრებოდა მის მიერ დიდის ზეიმით აღიარებულ ვილსონის ერთა თვითგამორჩევას. მიუხედავად მცხოვრებთა ასივე პროცენტის საჯაროდ გამოთქმულ სურვილისა, აგსტრიის ძალად მოახვიეს თავზე დამოუკიდებლობა!

აგსტრიის ცალკე არსებობა შეუძლებელი იყო, თუ არა მის მეზობელ არაერმანელ ერებთან ერთ ფედერალურ დიდ სახელმწიფოში. კიდევ ტალერანი ამბობდა: აგსტრო-უნგრეთი რომ არ არსებო-

ბდეს, ჩვენ უნდა შეგვევნაო. ავსტრიის მეზობლებმა ეს ბრძნული ნაკვესი დაიკიტყეს.

ამრიგად, მთელი აღმოსავლეთი ევროპა მოწყვეტილია დასავლეთი ევროპისაგან, უსაში ამართულია ბერლინ-რომის განთქმული დერძი. დუქებ საჯარო აღიარა თავის სიტყვაში, 17 მარტს, რომ ავსტრიის ბერძი ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და ვინც თავის თავს არ იცავს, სხვისგან არ უნდა მოვლოდეს ხსნასო. ეს «სხვა» იტალია იყო, ის იცავდა ავსტრიის დამოუკიდებლობას, რომ გერმანიის უშუალო მეზობლობა თავიდან აეცილებია, მაგრამ მან უკვე მიიღო ერთგვარი გარატია, რამ ამიერიდან ბრენერი გერმანია-იტალიის საზღვარი დარჩება.

მაშასადამე, ჩრდილოეთის ზღვიდან ხმელთა შუაზღვამდე ამ ახლად გაყოლებულმა ჯავშნიანმა ხაზმა სრულიად არაჩვეულებრივი საერთაშორისო მდგრამარეობა შეჯჭმა მთელს ევროპაში, საბჭოთა კავშირის და ახლო აღმოსავლეთის ზედ მითვლით. პირველი ლონიკური შედეგი ამ ახალი მდგრამარეობისა, ეტყობა, ეგრედ წოდებულ მცირე ანტარტიის დაშლა იქნება. ეს იქიდანაც კარგად სჩანს, რომ პრაგის მოთხოვნაზე დაუყონებლივ თათბირის მოწყვევისთვის ბუქარესტმა და ბელგრადმა უარით უპასუხეს! მართალია, თავაზიანობის გულისათვის მათ მხოლოდ თათბირის გადადება მოითხოვეს, იმის და მიხედვით, როგორ შეტრიალდება საქმე და სახელე ევროპაში. ამასვე უცდიან უთურდ ეგრ. წოდ. ბალკანეთის ბლოკის წევრებიც: იგივე ბუქარესტი და ბელგრადი, ათინა და ანკარა, თუმცა მათ ანკარის თათბირზედ, თებერვალში, უკვე გამოამჟღავნეს თავისი გაზრახვა გენ. ფრანკოს ცნობისთვის.

ავსტრიის დამოუკიდებლობის მოსპობაზ ერთი გეგმაც გამოაშეარავა, თუ შეიძლება ასე ითქვას. ხუთი წელიწადია, რაც ნაციონალ-სოციალისტური გერმანია ბოლშევიზმის შეურიგებელ მტრად აცხადებს თავის თავს, ბერლინ-რომი-ტოკიოს დერძიც ხომ კომინტერნის წინააღმდეგ არის შექმნილი. აქედან თუ ის დასკვნა გამოპერნდათ, რომ ადრე თუ გვიან გერმანია დაეტაკება საბჭოთა კავშირსო, სულ ერთია რეუიმის თუ მთლიანობის დასანგრევად, არავინ იცოდა ცხადად, რომელი მიმართულებით მოხდებოდა ეს დატაკება. დღეს თითქო ყველანი ხედვენ ამ მიმართულებას. გერმანია პეტენის ეგრ. წოდ. «მიტელ-ორბას», მისი ჰეგემონია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში თითქო უდავო ხდება და ამას ხელს უწყობს ეკონომიკური პირობები: ვინ არ იცის, რომ უმთავრესად აგრარულ ქვეყნებში,

როგორიცაა უნგრეთი, იუგოსლავია, რუმინია, ბულგარია, დლესაც გერმანული ფაბრიკატები სჭარბობს და იგივე გერმანია არის მათი სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა საუკეთესო მუშტარი?

მხოლოდ ეხლა შეიძლება ლირსეულად დაფასდეს განსვენებულ მარშალ პილსუდსკის მიერ ალბული ბრძნული ხაზი, 1934 წელს, როცა მეგობრობის პაქტი დასრულდება. გერმანია-რუსეთის დავას სხვა მიმართულება მიეცა, ხოლო ბალტიის სამხრეთ ნაპირებზედ, ასე ვსტევათ, პოლონეთის გავლენა იქნა ცნობილი. დიდი ხანია, პოლონეთი ცდილობს ბალტიის პატარა რესპუბლიკებთან თავდაცვის ხელშეკრულების დადებას, განსაკუთრებით მოსკოვის წინაამდეგ, მაგრამ ამას მუდამ ხელს უშლიდა ლიტვა, რომელიც, ვილნის გამო, თითქო საომარ მდგრამარეობაში იყო პოლონეთთან. უკანასკნელმა ულტიმატუმით მოსთხოვა ლიტვას დიპლომატიურ და საგარეო დამოუკიდებულების დაუყონებლივ აღდგენა, რასაც კიდეც მიაღწია და, მაშასადამე, გზა გაეხსნა ერთი დიდი და საში პატარა რესპუბლიკის მჭიდრო თანამშრომლობას. ეს დამზღვევი კომბინაცია ერთგვარი გაგრძელება მეორე დამზღვევი კომბინაციისა სკანდინავიაში: შვეცია, ნორვეგია, დანია, ფინლანდია.

და აქ საკიროა აღნიშნოთ ლიტვინოვის წინადადება დიდ სახელმწიფოთა კონფერენციის მოწყვევისთვის, რათა ალაგმულ იქნას ტოტალურ სახელმწიფოთა იმპერიალიზმით, წინადადება, რომელსაც კალათში უკრეს თავი დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა. ჯერ ერთი, ლიტვინოვი კენტად დარჩა: არავინ იცის, როდის გაყოლებები მას დახვრეტილ თუ დასხელეტად დამზადებულ მის თანამშრომელდიპლომატებს! მეორე, მოსკოვის წარმოებამ ვარშავის ულტიმატუმის წინაშე, ლიტვინიდამი, რომლის შეურიგებლობა პირველ რიგში, მისი წაქეშებამფარგელობით აიხსნებოდა, ყველას დაანახა, რამდენად შორს წასულა საბჭოთა წითელ არმიის უძლერება: მაგრამ ამასაც არ კმარიბს სტალინი: ამზადებენ ახალ პროცესებს მარშალ ეგოროვის და ბევრი სხვა სამხედრო წარჩინებულთა წინაამდეგ. კიდევ უარესი: უპროცესოდ მეთოდიურად ულეტენ სარდაფებში ეგრ. შტაბის ოფიცირებს კაპიტანის ჩინის მაღლა.

მაგრამ ნუ იტყვით, რომ მოსკოვს კიდევ არ დარჩენია ერთი ზანსი. ჩვენ დავასახელეთ ზეგით ერთი მიმართულება, რომელიც დიდ ხილას უმზადებს საბჭოთა კავშირს სამხრეთ დასავლეთიდან, ხოლო ეხლა უნდა დავასახელოთ მეორე მიმართულება,

რომელმაც, შესაძლოა, პირველზე ადრე მიიპყროს მსოფლიოს ყურადღება, და ამის მაჩვენებელია უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლები ისპანიაში. მართალი რომ ესთქვათ, დღეს მაინცდამაინც არავის აინტერესებს ისპანიის რეემის საკითხი, ეს მხოლოდ საბაბია სხვა გაცილებით უფრო მნიშვნელოვან კითხვების გადასაწყვეტად, როგორიცაა დიდი ბრიტანეთის საიმპერიო გზების, აგრეთვე საფრანგეთის ჩრდილო აფრიკასთან მიმოსვლის და აქედან ხმელთა შუა ზღვაზედ წინასწორობის უზრუნველყოფა. დღეს ლონდონს მოლაპარაკება აქვს რომთან, ხვალ პარიზმა უნდა გამართოს მოლაპარაკება იმავე რომთან და, თუ ეს ცდები ამაო დარჩა, ცხადია, ბერლინ-რომის ლერძი ამოქმედდება, რასაც ლონდონი და პარიზიც უპასუხებს, და ომი თავდაპირველად დასავლეთ ეკროპას დაატყოდება თავზე. ტყუილა არ გვემით პარიზის ქუჩებზედ «სამშობლო განსაცდელშიაო»! აი, რა იქნებოდა სნა მოსკოვის-თვის, ეს არ დაუმალავს სტალინს, ამას უცდის გულის ფანცქალით. ლინშესანიშნავია ამ მხრივ დელბოსის შეცვლა პოლ-ბონკურით საგარეო სამინისტროში, ერთხელ კიდევ იყენებენ მოსკოვს საფრთხოელოდ!

ჩვენ არ გვინდა წინ წაუსწოროთ მოწოლილ დიდ ამბებს, უნდა ვსთქვათ მხოლოდ, რომ ესენი გადამწყვეტ გავლენას იქნიებენ საბჭოთა ჩაგრულ ერების სვებ-ბედზე. გაისხენეთ, რა ბრალდება წამოუყენა ვიშინსკიმ 21 ცნობილ ბოლშევიკის: კავკასია-უკრაინა-თურქეთისტანის კავშირიდან გამოთიშვის და მეზობელ დიდ სახელმწიფოებისთვის გადაცემის განზრავა. ჩვენ, რასაკირევლია არ გვყენებით ბრალდებულთა «გატყდომა-მონანებას», თავი და თავია, რომ ერთა გამოთიშვას, ჩვენებურად—განთავისუფლების საკითხს თვით კრემლი აყენებს, მის წინაშე თრთის და არ იცის, როგორ აიცილოს თავიდან მისი დადგებითად გადაჭრის გარდაუვალობა.

ჩვენ მადლობაც უნდა ვუძღვნათ სტალინს და მის ამალას: კიდით კიდამდე მოსდვეს მთელს მსოფლიოს, რომ თვით ლენინის «კომენტატორი» ბუხარინი, მისი პატრიის პირველი მდივანი კრესტინსკი და კავშირის თავმჯდომარე რიკოვი სხვა გამოსავალს ვერ პოულობენ შექმნილ საშინელ მდგომარეობიდან, თუ არა საგარეო ომს, და ამისათვის მხადიყვენ არაუშის რესპუბლიკები «მტრის სელში გადაეცათ»!

საბჭოთა კავშირი რომ გაიხსნა და აღსასრულის კარზეა, ეს ხომ ცხადად დაინახა ქვეყნიერებამ 21 ის პროცესიდან, როგორც ზევითა ვსთქვით, მაგ-

რამ ის არ დააყოვნებს, დაინახოს იმავე პროცესიდან მთელი ამ მოწამლულ ატმოსფერის გასაწმენილ უებარი საშუალებაც: ერთად ერთ დარჩენილ საღორგანიზმთა—ერთა პოლიტკური განთავისუფლების აუცილებლობა. ახლოვდება დრო, როცა საფუძველი ეცლება ერთ ფრიად მავრე ილიუზიას, გოთომ შესაძლებელი იყოს საყველთაო დაზავება, თუ ხშელეთის ერთ მეექვედში გაუგონარი კაც-ჭამია რეუმი მდვინვარებს.

ორთა თუ სამთა ლერძიც განა ამას არ ლალადებს? ხოლო რა შედეგი მოჰყვება მას, ეს დამოკიდებულია არა მარტო საერთაშორისო ძალთა განწყობილებაზე, არამედ იმაზეც, როგორ სიმამაცეს, უნარს და გამჭრიახობას გამოიჩინენ თვით დაინტერესებული ჩაგრული ერები ამ ისტორიულ გადატეხის სანაში.

#### გ-5 ჰაილარ გამატის ფასულიდან

ორიოდე გზა-კვალ არეულმა ქართველმა ბ ნი პაილარ ბამატი თავის ლიტერად გამოაცხადა და კავკასიის დიდი პატრიოტის ატესტატიც ჩააბარა. ამ პატრიოტის ფასი და ლირებულება კარგად იციან ჩვენმა მყითხველებმა, მაგრამ წელმეტი არ იქნება ბამატის ქართველ თაყვანის მცემელთ ერთხელ კიდევ გავახსენოთ ამ «პატრიოტის» განვლილი გზა, რომელიც მისი ნამდგილ ბუნების საუკეთესო დასურათებას წარმოადგენს.

როგორც ვიცით, ჰაილარ ბამატი იყო კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიის მოხელე და წელებზე ფეხს იდგამდა, რომ რუსეთისადმი დიდი ერთ გულება დაემტკიცებია და მით კარიერის გასაკეთებელი გზა გაეკაფა. ამის ნათელსაყოფად საკმარისია მოვიყვანოთ ერთი პატარა ამონაწერი იმ წერილიდან, რომელიც მან 1911 წელს მოათავსა კვირეულ ქურნალ «კ მირ მუსულმანსტატგა»-ში:

«მე შეურყევლად მწამს, რომ ისტორიულმა ბერძმა სამუდამოდ და განუყრელად შეაკავშირა რუსეთის მუსულმანობა რუსეთთან და ასევე გადაჭრით განაცალკევა იგი დანარჩენ მეზობლებისაგან. მუსულმანობის მთელი შემდგომი წინსვლა პროგრესის გზაზე მე არ შემიძლია წარმოვიდგინ სხვანარად, თუ არა მჭიდრო და ძმურ ერთობაში რუსეთის ხალხთან».

თუ ვისი პატრიოტია ამ სტრიქონების ავტორი —კავკასიის მთლიანად, თავისი საშშობლო მთხოვთ რუსეთის, ეს მყითხველმა გასაჯოს.

1917 წელში რუსეთი ააფორია რევოლუციის

ქარიშხალმა. რუსეთის საზღვრებში მოქცეულმა ჩაგრულმა ერებმა დრო იშოვეს და რუსეთს ჩამოცილდენ. ჰაიდარ ბამატი თავის სამშობლოში გაიხიზნა. მან მყისვე ფერი იცვალა, მთის პატრიოტის ნაბატი წამოისხა და ამ პატრიოტობის დასამტკიცებლად საქართველოს აუტეხა ტერიტორიალური დავა და აფხაზეთი მოსთხოვა. 1918 წელში მან საქართველოს ეროვნულ მთავრობას ასეთი ნოტით მომართა:

«ჩემ მიერ მიღებულია ნამდვილი ცნობები, რომ საქართველოს მთავრობის ავენტები აფხაზეთში აწარმოებენ პროპაგანდას, რომელიც მიმართულია კავკასიის მთიელთა კავშირის რესპუბლიკის და მასთან მეგობრულად განწყობილ ასმალეთის წინააშლება.

აფხაზეთში გამოცხადებულია 28 წლიდან დაწყებული ახალგაზდათა მობილიზაცია, რომელიც მიმართულია ოსმალეთის წინააშლება. ოსმალეთის მოქალაქეთ, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან, იჯერს და მათ მეტად ცუდად ეპყრობა აფხაზეთში მყოფი ბ-ნ ჯულელის ქართველი რაზმი. აფხაზებს ეს რაზმი ძალით ანიარაღებს, იარაღი კი საქართველოში იგზავნება.

კიდევ გასული წლის სექტემბერში კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა მეორე ყრილობაზე ქალაქ ვლადიკავკავში აფხაზეთი ფორმად ურად შევიდა მთიელთა კავშირის შემადგენლობაში, განსაკუთრებულ უფლება-მოსილ დელეგაციის საშუალებით, რომელიც მივლინებული იყო აფხაზეთის სახელ ხოსტის მიერ, და დღეს აფხაზეთი შეადგენს ნაწილს კავკასიის მთიელთა კავშირის რესპუბლიკისა...

ვიღებ რა ამას მხედველობაში, ჩემი მთავრობის სახელით კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებ საქართველოს მთავრობის კერძო აგნენტების და სამხედრო ნაწილების ცდების წინააშლება, რომ აფხაზეთი ჩამოაშორონ მთიელთა კავშირს, რომლის შემადგენლობაში ის თავის სურვილით და აფხაზეთის ხალხის ნებაყოფლობით შევიდა.

ჩრდილო კავკასიის და საქართველოს ხალხთა შორის მეგობრულ და კეთილ მეზობლურ განწყობილების შენარჩუნების მიზნით მე ვითხოვ თქვენ განკარგულებას, რათა ქართველი სამხედრო ნაწილები დაუყონებლივ გაყვანილ იქნენ აფხაზეთის საზღვრებიდან.»

ბ-ნ ბამატის ქართველ ყმებს ეს მიაჩინათ აღბად კავკასიის დიდ პატრიოტობად და კავკასიის ერთა შორის კეთილმეზობლობის განსამტკიცებელ საშვალებად.

1919 წელში ჩრდილოეთ კავკასია აახტრეს დენიკინის ჯარებმა და ხელახლა მონობაში ჩაგდეს ახლად განთავისუფლებული მთის ტომები. ამის შემდეგ ბ-ნი ბამატი ტფილისში მოგვევლინა, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვის საბჭოს დიპლომატიური წარმომადგენელი და საქართველოს თხოვდა დახმარებას. ამასობაში დენიკინს ბოლშევკებმა შემოუტიეს, განცევნეს და გაბატონდენ დადგესტანში. ბამატმა ხელახლა იცვალა ფერი, იგი გაწითლდა და დალესტნის რევოლუციის წარმომადგენლობა მიიღო, უბრალოდ რომ ვთქვათ გაბოლშევკიდა.

1920 წლის აპრილის 28-ს დილით ტფილისში ცნობა მოვიდა, რომ გასული ლამის განმავლობაში ბოლშევკიური წითელი არმია შემოესია აზერბაიჯანს და კომუნისტური ხელისუფლება დააწესა ბაქოში. იმავე დღეს ბ-ნი ბამატი ტფილისში ხელისუფლების ნებართვით შეუერთდა პირდაპირი მავთულით ბაქეს და გმორებასა რევოლუციის თავმჯდომარის მოადგილეს ჰამიდ სულთანოვს. აი სიტყვასიტყვით ეს ბაასიც:

«ბამატი: ვინ ლაპარაკობს?

სულთანოვი: ლაპარაკობს აზერბაიჯანის რევოლუციის თავმჯდომარის მოადგილე ჰამიდ სულთანოვი.

ბამატი—ლაპარაკობს დალესტანის რევოლუციის წაიდარ ბამატი. დალესტანის საქმეების გამო მინდა ველაპარაკო აზერბაიჯანში მივლინებულ დალესტანის რევოლუციის წარმომადგენელს ანდრეევს. გთხოვს ჩრდილოეთ-კავკასიის თავდაცვის საბჭოს ყოფილი დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში, გამოუძახოთ ამხანაგ ანდრეევს. ცხოვრობს მეტროპოლიტი. თქვენ გთხოვთ მონახოთ, ვისმეს საშვალებით გადასცეთ ჩემი თხოვნა დალესტანის წარმომადგენელს ანდრეევს. გთხოვთ მომცეთ ინფორმაცია მდგომარეობის შესახებ აზერბაიჯანში და დალესტანში.

სულთანოვი—გუშინ დილით პირადად მე წარუდგინებულიმატუმი (იგულისხმება—აზერბაიჯანის ეროვნულ მთავრობას. რედ.) აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიის სახელით, რომ ხელისუფლება გადაცემდა აზერ. კომუნ. პარტიას; ვადათ დაუნიშნე საღამოს 7 საათი. პირადად ჩემთან ხანგრძლივი ლაპარაკის შემდეგ პარლამენტმა საღამოს 5 საათზე გამობყო ექვსი პირისაგან შემდგარი კომისია. ამ კომისიამ პასუხის მოსაცემად მიმიწვია ჯევანშირის ბინაზე, სადაც მოვითხოვდი ხელისუფლების დაუყონებლივ გადმოცემას. ჩემი გადაჭრილი მოთხოვ-

ნის შემდეგ კომისია დასთანხმდა დაწავიდა პარლა-  
მენტში მოსახენებლად. პარლამენტმა საგანგებო  
სხდომაშე დაადგინა: გადაეცეს ხელისუფლება კო-  
მუნისტურ პარტიას, ვინაიდან საქმე წაგებულია.  
მე მხარს მიშეერდა მთელი არმია და ფლოტი, რომ  
პროლეტარიატზე არაფერი ვოქეათ. სწორედ 12 სა-  
ათზე ხელისუფლება გადმოვვეცა ჩვენ. ნარიმანოვის  
აქ არ ყოფინის გამო, იგი მივიღე მე, როგორც სამხე-  
დრო რევოლუციონურ კომიტეტის წევრმა.

ბამატი. — სალამი ამხანაგ ნარიმანოვს; გთხოვ  
გადასცეთ მას, რომ დააჩქაროს ჩემი ანდრევთან  
მოლაპარაკება. გთხოვთ უფრო სრული ინფორმა-  
ცია მომცეთ ქალაქის მდგრადობის შესახებ. რა  
ბედი ეწვიათ ყოფილ მინისტრებს?

სულთანოვი. — არავითარი ექსპესტი, არავითა-  
რი სისხლის ლერა არ ყოფილა. ამ წუთში ქალაქში  
სრული სიწყნარეა. ჩვენი წითელი ნაწილები უტევენ  
სომხებს, აილე ევლახი და იმედი გვაქვს, რომ ქარ-  
თველი პროლეტარიატი მიჰყება ჩვენს მაგალითს;  
რაც შეეხება დაშნაკცაკანების ხელისუფლებას, ჩვენ  
მას ავიდებთ იარაღის ძალით. ჩვენ სრული გარა-  
ტია გვაქვს, რადგან იმედებს გამყარებთ ასრ. სხმულ  
ათასიან არმიაზე, რომელიც ამ ყამად აწერბაიჯან-  
ში იმყოფება. გილოცავთ რევოლუციურ ხელის-  
უფლების სახელით, რომ ხელისუფლება გადმოვი-  
და ჩვენს მხარეზე სრულიად სისხლის დაულევრელად.

ბამატი. — გმადლობთ ცნობებისათვის. გილო-  
ცავთ, ძალიან მიხარია. ვერ გავიგე თქვენი ლაპარა-  
კი სომხების წინაამდეგ; სად ხდება ეს? რა ცნობები  
გაქვთ დალესტნიდან, სად არის ნარიმანოვი? თუ  
გაქვთ ტელეგრაფი შურასთან (თემირ-ხან შურა. რედ.).  
გთხოვთ მომიწყოთ პირდაპირი მავთულით მოლა-  
ხარაკება ანდრევთან, — ჩვენს წარმომადგენელთან  
აწერბაიჯანში. თუ შეიძლება პირდაპირი მავთუ-  
ლით შევუერთდე შურას? თუ უშევებთ პირდაპირ  
მატარებლებს ტფილისისაკენ? როგორ შეიძლება  
ჩამოვიდე მანდ?

სულთ. — თქვენ გელაპარაკებათ სახალხო კომი-  
სარი, აწერბაიჯანის რესპუბლიკის საშინაო მინის-  
ტრი პამედ სულთანოვი. ევლახისა და ნუხის გზით  
უტევენ სომხებს. ამ ჯარის მიხანია ანატოლიასთან  
შეერთება. დალესტანში სწარმოებს დანგრეულ სახ-  
ლების აღდგენა, დიდი თანხები იდება დანგრეულ  
კერათა ალხადენად. ნარიმანოვი პიატიგორსკშია,  
ერთი კიორის შემდეგ აქ იქნება. ანდრევები წავიდა  
(წითელი ჯარის შემოტევამდე) დალესტანში, აწერ-  
ბაიჯანში მომხდარ გადატრიალებამდე. ვფიქრობ,  
რომ 3—4 დღეში აღდგენა მიმოსვლა ტფილისთან.

ბამ. — დიდად გმადლობთ ინფორმაციისათვის;  
მინდა კავშირი მქონდეს თქვენთან. თუ ხალ დრო  
იპოვოთ, გამომიძახეთ პირდაპირი მავთულით, გარ-  
ომევ ხელს, გისურვებ გამარჯვებას.

სულთ. — მე ყოველთვის რევკომში ვარ, ყოველ-  
თვის შევიძლიათ გამომიძახოთ. როგორი მდგომარე-  
ობაა ტფილისში? აწერბაიჯანის ამბებმა როგორ  
იმოქმედა ქორდანიას მთავრობაზე?

ბამ. — ტფილისი ვარეგნულად წინაადებულად  
არის. მდგომარეობის შესახებ რამე ვიდასუხო მედ-  
ნელება თქვენთვის გასაგებ მიხევების გამო. ქალაქ-  
ში ხმები არ არის საკმაოდ გავრცელებული, გაზე-  
თებში მოკლე ცნობაა. ხვალ მოვილაპარაკოთ. გარ-  
ომევთ ხელს, ნახვამდის.

სულთ. — აბა ასე, ჯერ-ჯერობით გისურვებთ  
ყოველიც კარგს.

იმავე წლის ზაფხულის ბოლოს საქართველოში  
ჩამოვიდა მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია; ბამატი იმავე წუთში სოციალისტურ ტავაში გაეხ-  
ვია და ამ დელეგაციას განსვენებულ ცალიკოვთან  
ერთად მემორანდუმით წარუდგა. ამ უკანასკნელზე  
მას ხელი უწერია: მთიელთა კავშირის რესპუბლი-  
კის დამუკიდებელ სოციალისტთა წარმომადგენ-  
ლი პაიდარ ბამატი». ამ მემორანდუმში აწერილია  
მთიელთა სამწუხარო თავგადასავალი, — რუსეთის  
მიერ დაპყრობა, რევოლუციის შემდეგ რესპუბ-  
ლიკის დაარსება, დენიკინის ჯარების შემოსევა.  
ბოლშევიკების ბრძოლა უკანასკნელის წინაამდევ  
და მთიელების აჯანყება დენიკინის წინაამდევ. შემ-  
დეგ მემორანდუმის ავტორები განაგრძობენ:

«მთიელ ხალხების აჯანყების საზრებლობა მო-  
ინდომა აწერბაიჯანის მუსავატურმა მთავრობამ.  
რომ იმპერიალისტურ გაემრავლებია თავისი სა-  
მფლობელო დალესტანის შემოერთებით. პირდაპირ  
უშუალოთ ბრძოლაში ჩარევა ვერ გაბედა აწერბაი-  
ჯანის მთავრობამ, რომ არ გაეფუძნებია დამოკიდე-  
ბულება ანტანტასთან, რომელიც დენიკინის უძრებდა  
ჩახარს. მან აავსო დალესტანი თურქებით ნური ფა-  
შის მეთაურობით, რომ თურქების საზვალებით გა-  
ნებორციელებია თავისი იმპერიალისტური ამოცა-  
ნა. თურქები სარეგბლობდენ მუსავატური მთავრო-  
ბის დახმარებას, ბოლშევიკები კი საბჭოთა რუსეთს.  
ორივე ეს ჯგუფი შეერთდენ მთიელთა დემოკრატი-  
ულ, განმათავისუფლებელ მოძრაობის წინაამდევ  
და, რადგან მათ განკარგულებაში იყო დიდი მატე-  
რიალური საშვალებები, გაიმარჯვეს». შემდეგ, რო-  
გორც მემორანდუმი მოვილოთხობს, თურქები და  
ბოლშევიკები დაეტაკენ ერთმანეთს; ბოლშევიკებმა

გაანადგურეს, თურქები და ისინი ნური ფაშასთან ერთად იძულებული გახდენ, გაქცეულიყვნენ დალესტანიდან. ამნაირად დალესტანი გადაიქცა ბოლშევიკების სათარებო ასპარეზად. მემორანდუმში ალწერილია დალესტანი ჩადენილი მხეცობა იმ ბოლშევიკები ხელისუფლებისა, რომლის წარმომადგენელი სულ ახლო წარსულში თვითონ ბამატი ბრძანდებოდა. ქვეყით იმედია გამოთქმული, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც მთის ხალხი ერთსულოვანი აჯანყებით უპასუხებს ბოლშევიკებს და მთის რესპუბლიკის სოციალისტები შეეცდებიან შესაფერი მიმართულება მისცენ ამ აჯანყებას:

«ჩვენ, მთიელთა ხალხების სოციალისტური ავანგარდი, — განაგრძობენ მემორანდუმის ავტორები, ე. ი. ცალიკოვი და პაიტარ ბამატი, — გამოვხატავთ რა მშრომელ მასების ინტერესებს, ჩვენი ისტორიულ ამოცანად ვთვლით, გავაფორმოთ განმანთავისუფლებელ მოძრაობის ეგ სტიქიური პროცესი დემოკრატიზმის საფუძველზე სოციალიზმის მოლოდინში, რომელიც შეადგენს ჩვენი ეპოქის უახლოელებს მსოფლიო მიზანს.

«ჩვენ ვფაქტობთ, რომ დემოკრატიული სკოლა არის უსაჭიროესი და აუცილებელი ეტაპი სოციალიზმის სამეფოში შესასვლელად.

«თვითეულ ხალხის მშრომელი მასების თვითგანმტკიცება მათ სახელმწიფო ორგანიზაციის ჩვენ მიგვაჩინია დემოკრატიზმის უმაღლეს გამოხატულებად.

«თავისუფალი კავშირი თავისუფალ ხალხთა — დიდთა თუ პატარათა — მიგვაჩინია კაცობრიობის ბოჭინვალე მომავლად.

«ამ მომავლის გამომჭერელია მსოფლიო პროლეტარიატი...

«მოგესალმებით რა კავკასიის ნიადაგზე დასავლეთ ევროპის სოციალისტური მოძრაობის წარმომადგენლებს, ჩვენს მასწავლებლებს კაცობრიობის განმათავისუფლებელ ბრძოლის საქმეში, იმედს გამოვტკამთ, რომ ჩვენი ხმა იმ ბრძოლის შესახებ, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ კავკასიის მთების მიყოფებულ ლერებში ხალხის თავისუფალ ნების-უოფის ძალაობისა და ჩაგვრის წინაამდეგ, — თქვენ მიერ მიწვდომილი იქნება დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის ყურამდე, იმ პროლეტარიატის, რომელიც ჩვენს დორში ყველა ლირებულებათა და გაწამებულ კაცობრიობის ყველა უკეთესი იმედების ერთად ერთი მატარებელია»...

«აქ ჩვენ ვხედავთ ბ-ნ ბამატს, როგორც დასავლეთ ევროპის სოციალისტურ და დემოკრატიულ მოძ-

რაობის დიდ თაყვანისმცემელს. იმ დროს იგი პროტექციასაც კი დაეძებდა, რომ როგორმე მეორე ინტერნაციონალში შეეყო თავი, მაგრამ მისი ცდა მრავალ მიზეზების გამო უნაყოფოდ დარჩა.

ასეთია ბ-ნი ჰაიდარ ბამატის წარსული და მოლვაწეობა, სანამ იგი უცხოეთში გამომოხვეწებოდა.

## გ ა მ ა ტ ი დ ა მ ი ს ი ხ ი ზ ი

განსვენებული მამაჩემი, რომელიც, მიუხედავად ახალგაზიდობისა, სულ ახლომდგომი თანამშრომელი იყო შემილისა (ის მე-22 წელში გადავიდა, როცა წინამდლოლთან ერთად შეიძინებს გუნიბრში 1859 წელს), იტყოდა ხოლმე, რომ სახელგანთქმულ იმამს გუნიბის სიმაგრეებში ჩაკეტამდის არა პერინა მიხდილი იმედი ქართველების ამხერობისაც. როცა გამრაველებული რუსის ჯარი უკვე უტევდა სალკლდებზე შეფარებულ «მთის არწივებს», შამილს არაერთხელ ოხვირით შეუჩივლია: საქმე სხვანაირად წავიდოდა, გვერდში რომ დაწინაურებული და მხედრულიად წვრთნილი ქართველები მყოლოდნენო! საქართველოს იმდროინდელი სიჩუმე და უმოძრაობა აკვირებდა კავკასიის თავისუფლების ჭირისუფალს: ეს გარემოება ალექსანდრე ყაზბეგისაც აქეს შემჩნეული...

«მთისა» და კერძოთ დალესტნის ისტორიული დამსახურების უგულებელყოფა ისტორიისავე უცოდინარობა იქნებოდა! ერთიკი, რომ წარსულ კამთა კარგ ეპიზოდებისა გამო ქართველები მოვალენი არა ვართ დალესტანი, ან რომელიმ სხვა ცუნქტი ჩრდილო-კავკასიისა ქაბად გადაიკურით. ასე კი ემართებათ «კავკასიაში» შესიზნულ პაზიებად ქცეულ ზოგიერთ ქართველებს, რომელიც მოგვიწოდებებს პირქვე დავემხოთ ბრძოლაგადახდილ დალესტნის წინაშე, მისი პრიმატის აღიარებით. დალესტანი, ისევე როგორც მთის დანარჩენი ნაწილებიც ჩვენთან ერთად იბრძვიან თავისუფლებისათვის. ამავე ბრძოლაში ჩატარული არინ კავკასიის სხვა ერებიც და ყველას მეტნაკლებობით თავისი წვლილი შეაქვს საერთო საქმეში. ამმხრივ ერთი ვართ კავკასიებინი, რა კუთხესაც უნდა ვეკუთხნოდეთ — იქნება ეს ყაზიუყუმუხი, ზანგეზური, თუ ქინიყი...

სახელოვანი იმამი ჩვენს დღებს რომ შესწრებოდა, ქართველ ხალხს არამც თუ არ დაემდურებოდა, პირიქით სხვათაც მოუხმობდა თანაბარი უნარისა, გამდლებისა და პათოსურ, ნამდვილ პატრიოტულ თვითშეგნების გამოცხადებისათვის. მთიელთა ბელადი იმასაც დაუმატებდა, რომ განმათავისუფლებულ ბრძოლაში ჩაბმულ ერთა მეთაურებსა და ხელმძღვანელებს ედვაწნა თანხმობით სხვებთან ერთად, კავკასიელ ხალხთა საერთო კეთილდღეობისათვის. შამილი კავკასიის განთავისუფლებისათვის იღვწია. მისი გეგმა გაცილებით უფრო ფართო იყო, ვიდრე ეს სინამდვილეში განაარსდა. შამილი კავკასიის კონფედერაციული წყობილების პირნერი.

იყო!.. სრულებით სამართლიანად მოიქცა ჩვენი მკლევარი შალვა ბერიძე, ნეაპოლის აღმოსავლურ ინსტიტუტის მიერ გამოცემულ, შამილისათვის მიძღვნილ მის წიგნებს სათაურად რომ წარუწერა: «შამილი—კავკასიის წიგნმდომლი».

ასეთი იდეები იძვროდნ კავკასიონის მშვერვალოებიდან ძეველად! არის რაიმე მსაცავება ამ იდეებსა და იმ კლიაუზურ დემაგოგიას შორის, რომელსაც თვიდანთვე ჭვანის მთიელთა ხალხის ტიტულიარნი სოცეტიკი? ნდობა და პატივდამსაცხრებული თავის ხალხში», როგორც მას გვირდგენს «კავკასიის» ერთი ქართველი თანამშრომელი. ეს გუშინდელი «დავთარხანელი ვიზოთაგა» არა მკითხე მეტიჩარასავით მიძვრებ-მოძვრება სხვათა საქმეებში! ის მრჩევლადაც გამოდის კავკასიის ხალხთა პლიტიკურ ბერის გადაჭრაში. თავის მომცრო აუდიტორიის წახალისებით, ეს «დიდი პატრიოტი თავის ქვეყნისა, წრფეობი პატრიოტი (?) კავკასიის დამოუკიდებლობისა და კავკასიის ხალხთა სოლიდარობისა», როგორც განაცრობს მის ჩეკომენდაციას იგივე ქართველი, —სერიოზულად ჩემულობს ერთბაზი კავკასიის ლიდერობასაც და ვითარცა უაპელლაციონ მსაჯულს, გამოაქვს «ვერდიქტები» ყველა ჯურის საკითხებზე—ეხლანდელებზედაც და ისეთებზედაც, რომელნიც ჯერ ოდნავ ისახებიან მიუთხოვდებოდნ მომავლის პერსპექტივებში! ბამატის რეცეპტურაში ყოველ საგანსა და მოვლენას მიმოხომილი ჰქონია შესატყვიის ფორმულა, რომლის მიხედვითაც უნდა დაფუძნდნენ წესწყობილებანი და სოციალურ ურთიერთობანი; კავკასიის ხალხთა ცალკალკე სახელმწიფული ცხოვრება და მათივე კონფედერაციული ასახვა! ამავე ფორმულაში სალაშენურად მოქცეული არის ისეთი საარსებო და სადავიდარაბო საკითხიც, როგორიც არის კავკასიის სახელმწიფოთა ტერიტორიული გამიჯგნა სხვა სახელმწიფოებისაგან...

ბამატის «აგანგალა-განგალა» ქართველების გულისყურს არც თუ მიიჩიდავდა, რომ მას «იდეოლოგები» არ აღმოსაჩინდნენ თეთი ქართველთა შორის; ამას კი გამოხმაურება სჭირდება, აქ სათქმელი უნდა ითქვას, მოვლენასა და ნივთს მიეკუთვნოს თავისი ნამდვილი სახელწოდება.

ქართველ ემიგრაციაში ბევრირაპარადონ და პირდაპირ საოცარიც საღდება,—ხან იმიტომ, რომ ამგვარ ამბებს «კონტრაბანდად» ატარებენ, ხან კიდევ იმიტომ, რომ ყალთაბანდურ ამბავთა მთხველნი, მეცნიერების უცდომელობის სამოსელში გამოცხანული, «დოგმებს» სეტყვასავით გვიშენენ! ლალადი ასე ვთქვათ ex cathedra: გიო უნდა გააძლის შეძრახვა?! ხმა—კრინტის დაძრა ალკვეთილია... propter mecum iudearum! გარნა უნივერსიტეტის პრაგატ-დოცენტობა არსად, არც ერთ ქვეყანაში ამ ხნიამდის ჯერ კიდევ არ იძლეოდა საქმარ საბაძს იმისათვის, რათა ამ წოდების მქონეს თავის სპეციალისტის გარეშე კიდევ მინიჭებოდნენ პითიის ორაკულის უპირატესობანიც!

როდესაც «კავკაზის» რედაქტორი, ან მისმიერ გაბრიყვებული ვინმე უცხო უურნალისტი პროვ-

კატორულ წერილებსა სთხისავენ საქართველოს ტერიტორიის საკითხისათვის, დღევანდელ მწვავე ბრძოლაში ჩაბმულ ქართველს შეუძლიან იგარაულს, —სად არის ამ აგორებულ გუნდის სათავე; ხოლო იმავ ქართველისათვის ძნელი გამოსაცნობი არიან ის მოტივები, რომელნიც ზოგიერთ ქართველებს უკარნახებენ ამავე მიმართულების წერილების მოთავსებას ზემოაღნიშნულ გამოცემაში აქაოდა მეწუვეოები გვძულსო, —განა საქართველოს საქმეა მიეტმასნო და მიებუღო ყველა მახინჯა და ცრუპენტელას!!

საქართველოს ტერიტორიული პრობლემა უფრო რო რთული არის, ვიდრე ეს ბამატსა და მის ქართველ ხიზებსა პონიათ. გისაც სახელმწიფო სტრუქტურის კითხვები შესწავლილი აქვს, ისიც უწდა იცოდეს, თუ რა საფუძველზე შენდება ყოველი სახელმწიფო ორგანიზმი, თუ კი მმართველთა ანგარიშებში შედის ქვეყნის ლირსეული არსებობა და დაუბრკოლებელი განვითარება. მაგრამ ასე არ უვლის ამ საკითხს «კავკაზი», ყოველ შემთხვევაში საქართველოს მიმართ: აი მაგალითად ერთი მისი თანამშრომელი ქართულ მიწა წყალს ორ კათეგორიათა ჰყოფს: ერთი არი რეალი, ხოლო მეორე კი თურქ ყოფილა რაღაც განყენებული, მხოლოდ ჭიშით მისაწომი, «გონისელოგიურად» წარმოსადგენი, აბსოლუტურად განუარსებელი! ამ უკანასკნელი ის თვალის მოკვრა შესაძლებელი ყოფილა მარტოლა შუზუმების რუკაზე...

უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ამ მიდგომით მშობელი მიწა წყალის გეოგრაფიული მოხაზულობა მხოლოდ ისეთ გვამებს შეუვათ ტვინში, რომელთაც ან არაფერი გაეგებათ თავისი მხარის სასიცხლო ინტერესებისა, ან სულ არა სწამთ მისი მომავალი თვითმყოფი არსებობის შესაძლებლება! თუ ბამატმა ან არ იცის, ან და ფეხებზე ჰყიდია ქართული სახელმწიფური ატრიბუტები, «კავკაზის» ქართველებს რაღაც დესტრუქტირება, ცოფი შეეყარათ, რომ ვედარ უცვნიათ საკუთარი სარჩო-საბადებელი?! რა არის საქართველოს გეოგრაფიული სახე, თუ არა იგივე მისი თავგადასავალიანი ცხოვრება—დაქვეითებითა და აღმაღლებით, დაკინებითა და ძლიერებით?! ბამატსა და ქმათა მისთა მაინცდამაინც ჰსურთ საქართველოს სანაპიროების გაღება იმ ყაიდით, როგორც ს დებოდა ჩვენი ისტორიის კუჭუმათ ხანებში: ჩვენ ყაბულს არა ვართ!..

საქართველოს ისტორიული, პოლიტიკური, სტრატეგიული და, მაშასადმე, რეალი ტერიტორია—სპეციალისტების მიერ გამოცხანილი და შესწავლილი—თვით ქართველი ერთსაგანაც არის შეთვისებული და უდავოდ მიჩნეული; ამ ამბებში ეს-ლა ხელისფათური და «დავითის» თავიდან ჩინირით ჩაყოლა ზემდეტია და მოსახებრებელი... თუ ავტორიტეტულ პარტის პოლიგლოტური «კავკაზის» ხალხი მისდევს, მათ დაუსახელებელ ისეთ ავტორიტეტებს, როგორიც არიან—ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროვაძე, განსვენებული მოსე ჯანაშვილი (ვანუშტრის გეოგრაფიის გამომცემი), შინაარსიანი ვრცელი წინასიტყვაობის დართ-

ვით), ესევე საკითხი ზედმიწევნითა პქონდა შესწავლილი, ეხლახან ბოლშევიკებისაგან მოკლულ დიდ მწერალს მისეილ ჯავახიშვილს (თუმცა ამა საგანხე სპეციალი შრომა არ დაუტოვებია).

უზრადსალებია, რომ სწორედ «კავკაზის» ჯგუფმა დაწყო საჯარო გამოსვლები საქართველოს საზღვრების მოწვევრიებისა და ჩამოყალიბებისათვის! ეს ნაწერები პირველი შეხედვით დონქიხოტის ხმლის ქნევათ მოგზევნობოდათ, რომ მათ სხვაგვარი სუნი არა სდიოდეთ! ეს სუნი ზოგ ქართველსაც შეუგრძნია: გრ. დიასმიძე «კავკასიის» მარტის ნომერში ცდილობს ამ უსიამოვნო სუნის განიავებას, ის სიყვებეს მოითხოვს ირჩევენტის გარშემო, ავიწყდება კი, რომ ყაყანიცა და ყბედობაც მის ახლო ხდებოდა და იქვე გრძელდებოდა.

მაგრამ იტყვიან, რომ ყოველივე ეს ხდება იმ ურთად უზრი პირით, რომ ქართველ ხასტატებისადამ აცყარონ მენშევიკების მუხრუჭი! თქვე დალოცვილებო, თმა გაპარსეთ, «თავი» შეიბრალეთ, გარნა ამ უხეირო დალაქებს სამართებელი არც ხომ თმის ასალებად უჭრით! გზააბნეულ ქართველებს ბამატის როშვა მთის «უცნაურ ჩხად» მოპსმენიათ, რომლის ანდამატურმა ძალამ უნდა მიიტაცოს ჩვენი გული... აფსუს შამილი! აფსუს ნეტარხესნებულ იმამის განაზიდარი კარგი იდეალისტური ბრძოლა — ძმობისა და ერთობისა, თავისუფლებისა და სამართლიანობის მთოველი!

\* \* \*

ბამატმა ნიღაბი აიძრო! «კავკაზი» ქართველი ერის სამტრო ლოგანოა!.. ბამატის და მისი ახიზნებისა ანკესხე წამოვგო ყოფილი დებუტატი დოქტორი ენრიკო ინსაბატო, რომელიც კორტიერე დიპლომატიკ ე კონსლოარე»—ში ათავსებს ჩახანილ წერილებს. იტალიელ პუბლიცისტს ორი საკითხი ამოულია თვალში: საქართველოს სახელეთი სანაპიროები და ქართველი მენშევიკები (კერძოდ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის პიროვნებაც). ინსაბატოს წერილს რედაქტირა «თავის» შენიშვნას აძლევს, მაგრამ «კავკასია» ვილაც მატყუარას შეცდომაში შეუყვანია: აქ ალიშნული გაპრტყელებულ სახელწოდების იტალიური ორგანიზული არ არის ოფიციალი, არც ნახევრად და არც მესადაც! ის ეკუთხის ერთვინმ პიროვნებას, რომელიც ამითი ცხოვრობს ისევე, როგორც ვთქვათ მედუქნე — დახლით. ამ ორგანოს შემოსავლის საგრძნობი წყარო იმაში გამოიხატება, რომ იქ დონდანდორო ეკონომიკურ სახელმწიფოთა წერილთქება დიპლომატების თითო ადლიანი ფოტოგრაფიებით თავსდება განსაზღვრულ თანხის გადახდით. უნდა გამოვტყდე, რომ მე აქ ჩამოსვლის პირველ წელში ერთი ჩემი მეგობარი უკრაინელის რევგით ორი წერილი მოვათავსე ამ გამოცემაში, ხოლო აღრევე გავეკეცი თანამშრომლებას, რედაქტირაში გამეფებულ დახლიდარაზე ტურულ «დახლიდარაზე» ტურულ და არ იყოს ერთი ამბის მნილებაც ამ «ოფიციალის» დასახასითებლად: ერთს ჩემს წერილს დართული პქონდა ორი ფოტოგრაფია: ირაკლი მეფისა და ნორ კორდანისი; წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა მეორე გვერდ

ზე დავინახე გამოჭიმულნი: «მისი აღმატებულება» (სწორედ ასე ეწერა) საბჭოთა «ამბაზატორე» საელჩოს მთელი ამაღლი!.. რაიცა შეეხება ბ. ინსაბატოს, მასთან მე წელთა განმავლობაში პირადად მეგობრული განწყობილება მაქეს. მრავალჯერ გვისაუბრია ჩვეუნის ჭირვარამზე და, ავე მინდა განვაცხადო, რომ მისგან კარგსა და გულითად მოყვრობასა ვარ შეჩევული. მაგრამ სულ ბოლო დროს შევნიშნავდი, რომ ინსაბატო ერთავად წუწუნებდა — მე-II ინტერნაციონალზე და მასთან გადაბმით ქართველ მეწევიებზე და ნორ კორდანიაზე. ჩემის მხრით, ვცდილობდი ამესნა «დამონებულ ერთა დიდ მეგობრისათვის», რომ ქართველი დამონებული ერი დაპყრობებლ მტრის წინამდევ ბრძოლაში, არის გაერთიანებული, და რომ ამჟამად ქართველებში საპრესცენტივო შინაწყობილების საკითხები არ ითვლებან აკრულურად... უწურში კი ინსაბატომ დაწერა დამმონებელ მტრის გასახარი სტატიები და. რაც უარესია, გამოაკვეყნა ერთი რამ «დოკუმენტი», რომელიც — მისივე სიტყვებით ვითომც იტალიის მთავრობას უნდა გადასცემოდა საქართველოს სახელით! ძნელი დასაჯერებილია, მაგრამ ეს ჩაიდინა ცნობილმა მოღვაწემ, ყოფილმა დეპუტატმა, ხანში შესულმა ადამიანმა!.. უამთადენაში ინსაბატო (დედეგრძელი იყოს!) დარწმუნდება, ვინ იყვნენ, რომ აქოთებდნენ ქართულ საქმეებს და ნებსით, თუ უნდებლიერ ამაგრებლნენ გაჭირვებაში მყოფ ერის მტერთა პაზიციებს. მაგრამ ვიდრე ეს წერილი დაიბეჭდება, ინსაბატო ჩემს დიქტებს ყველა ამისა გამო გაცენ რომის გაზეთის «ფრონტე უნიკო»ს საშუალებით...

«კავკაზის» დაუდგრომელ აუდიტორიას მიემატა კიდევ ერთი გვამი. აქ თავი ამოყ შარშან გერმანიიდან გამოყებულმა ვასილ სადათარაშვილმა (ლადო ახმეტელაშვილო, გახსოვს ბერლინში 1926 წელს რა წმოიძახე ამ გვარის გაგონებაზე?). ეს ყოვლად პატარა კაცი რათა ხანია წელებზე ფეხს იდგამს, რომ ქართველ წრეებში შეძებულ შეძებულს აქციათა გარდა (ავატორო მესსიერება და ეს გვარი მოგვანებს საჭმუნავ და საძრას ამბებს), ის ბევრსა სწერს — ხან აქ, ხან იქ — ქართულად, გერმანულად (ეხლა იტალიურადაც), მაგრამ — ვერ იქნა, ვერ ეშველა: მის «დისერტაციებს» არვინ აგდებს «ხოთქში»... იტალიაში ჩამოვიდა თუ არა, ისეთი თავები დური წერილები დასტამბა ჩემი ქვეუნის ახლო წარსულზე. რომ გაკვირვა თვით იტალიელები. ერთმა ახალგაზდა ცნობილმა მოღვაწემ მითხრა, რომ პატიოსანი იტალიელი უურნალისი არ მოინდოებს უცხო ენაზე მსგავს რამის დაწერას თავის სამშობლოს გუშინდელ მართველებზეო!

ეხლანდელი მისი წერილი რომიდან («კავკასია» — მარტი) თავიდან ბოლომდის ტყუილების ბოხჩაა, უსუსურ აბდაუბდასთან გადაბმული. გასაოცარი არ არის, რომ ინსაბატოსაც მახინჯად აესახა ქართული პრობლემა: ცრუსა და მატყუარა თარჯიმანს უფრო მეტად შეეძლო აფორიაზებინა უცხო პუბლიცისტის თავი...

ამ პატარა კაცს მე არ ვეხმაურებოდი განგებ: მის

პოლემიკურ ნაჯლაბნს უჩუმრად განხე ვდებთ, ერთის დანასკვნით: «სხვისი გიუ სასაცილა, თავისი კი—სამარცხეინოა... ეხლაც ხმა უდები დაგმობოდი, მაგრამ სადათარაშვილის ჭორები ისეთ ამბეჭთან არიან გადაბმულნი, რომ ორიოდე სიტყვას ჩემგანაც ითხოვენ: გადაჭრით ვაცხადებ ქართველი საზოგადოების წინაშე, რომ ბ. ჩიხლაძე ჩემს სიცოცლეში არ მინახავს. მისი ჩამოსვლა რომში ერთმა პირმა მაცნობა და მე ეს თავის ღრმონებაზე პარიზს შევატყობინებ. არ მინახავს თვალით არც ცაგურია. მე «იშვიათი სანახავი კაცი», მარტო დავდივარ იქ, სადაც საჭირო არის, დავდივარ საქვეყნო საქმეთა გამო და არა «საკლიაუზოდ»... მართალია, ჩემს ადათში არ შედის ყველა გაჩირადნებულ ფანჯარასთან მიღებობა და არც სხვათა სუფრაზე მათლათების ლოკვასა ვარ იმთავითვე მიჩვეული...

სადათარაშვილი ჯეილ ხბოსავით აკუნტრუშებულა, რომ «ბედნიერ შემთხვევას» მის ხელში ჩაუგდია «მემორანდუმი»... ეს ის დოკუმენტია—გაჰკივის ეს უხეირო მაჩანხალა ბამატისა (ვინ უწყის, ხვალ ვის მიეკეთლება!), რომელიც ინგილომ სამინისტროში დიდ თანამდებობის მოხელეს გადასცაო. სადათარაშვილის «ბედნიერი შემთხვევა» მე არ მაინტერესებს—სულ ადვილად აქ შეიძლება სხვა რასმე ქვემოდა ადგილი—, მაგრამ მას თურმე წინდაწინვე სცოდნია, რომ დოკუმენტი იტალიის მთავრობას მიჰსვლია, და ამის შემდეგ პეტაქს მის გამოქვეყნებას თვითონაც და აბრიყვებს უცხოლსაც... სათადარაშვილს კიდევ შეუძლია გამოიყენოს «ბედნიერი შემთხვევა» და გაიგოს, თუ რა პაზრისანი არიან აქაურ საგარეო საქმეთა სამინისტროში მის და მის მფარველის მიერ მოჭორილ ამბავთა გამო...

ასეთ «ობერაციების» მომწყობი, მერე «ნიანგის ცრემლებს» ანთხევს, რომ იძულებული ხდება ქვეყნიდან—ქვეყანაში გზააბნეულ თხასავით იწაწალოს... რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო...

რ. ინგილო.

რომი.

დაბეჯითებით ვთხოვთ ხელის მომწერთ,  
დროზე შემთიტანონ ხელის მოწერის ფასი.

გიზედაც დარჩენილია მველი, მოვაგონებთ,  
რომ გაასწორონ ანგარიში, მოგლუ ვადაში.

ჯვარის მონასტრის მიული „თთვენი“ ანუ „საგალოგოლი“ გათხალისათვე საუკუნისა”

ტყავის ხელნაწერი, 23,8×16 სანტიმეტრი, ყდა პერინია, მაგრამ მოუძარცავთ, აკინძული რეცელები ეხლა უმეტესად დაშლილია, ეტრატი კარგია, არც მანდამაინც სქელი, მოყვითანო ფერისა, ნაწერია ლამაზი ნუსხურით მე-XXI საუკუნისა ერთ სევტად. ტექსტის სიგრძე 17,1, განი 10,5 სანტ. თვითოულ გვერდზე 30 სტრიქონია, ნიშნებათ ნახმარია თითო, ორი და სამ-სამი წერტილები. სათაურები, მეთაური ასოები უმეტესად ნაწერია სინგურით, სხვა ტექსტი შავის მელნით. პაგინაცია აღნიშნულია რეცელები თავში და ბოლოში ასომთავრულით, შემდეგ სხვა ხელით და მელნით აღნიშნულია კიდევ სომეტური ასოებითაც. ხელნაწერში სულ 48 რეცელია, რეცელში რვა ფურცელია, მაშასადამ სულ უნდა იყოს ხელნაწერში 384 ფურცელი (48 ჯერ 8=384), მაგრამ ეხლა არის 382 ფურცელი, აკლია თავში ერთი ფურცელი, ერთიც მეშვიდე რეცელში, ამას გარდა ბოლოში ერთი ფურცელი დაწერელია. სულ ამ ბოლო დროს ვიღასაც ფანქარით აღნიშნავს სათვალავი დაწერილი ფურცელებისა, ის პირველ ფურცელ საც ათვლის, რომელსაც ჩვენამდის არ მოუღწევია, ეს იქიდან ჩანს, რომ ეხლანდელ პირველ ფურცელ უზის სათვალავი 2. აღმნუსხელი უჩვენებს სულ 377 დაწერილ ფურცელს, მაგრამ ამ აღნიშნებაში შეცდომაა, მას აღნიშნავი დარჩენია თითო ფურცელი შემდეგ 58, 102 და 280 ფურცელებისა, ამას გარდა 236 და 334 სათვალავით ორ-ორი ფურცელია ნაჩვენები. აღმნიშვნელს რომ სწორად აღენიშნა ფურცელები უნდა გამოსულიყო 382 დაწერილი ფურცელი, ვინაიდან ის პირველ ჩვენამდის არ მოუწეულ ფურცელსაც ანგარიშობს და ბოლოს დაუწერელ ფურცელს სათვალავში არ იღებს. ნამდვილად დაწეს ხელნაწერში სულ 381 დაწერილი ფურცელია, აკლია ერთი თავში და ერთიც მეშვიდე რეცელში. ამრიგად ხელნაწერი სულ მცირე ნაკლით არის ჩვენამდის მოღწეული. ტექსტიც კარგათ არის შენახული, ხოლო ორ-სამ ადგილს ნახვერეტებია პერგამენტის ფურცელებში. სამს ადგილს ცოტა შეგებობილობაც არის. მე-287 ფურცელზე verso ლამაზი ფერადებით შესრულებული მოგრძ თავსართი მხატვრობა (ჩასტავე), აქვე ფერადებით შემკობილი მეთაური ასოები ქ და თ, აგრეთვე მე-183 ფ. ი და ნ შეგებობილი, ხოლო 184 ფურცელზე verso ასლ ნარია შემკობილი.

შენაარსით ხელნაწერი შეიცავს საგალობელებს დეკემბრის, იანვრის და თებერვლის თვეებისა. პირველ დეკემბრის წმიდა ანანიას საგალობელს თავი

\* ) ეს ხელნაწერი პერინია ერთს ლონდონის ანტიქევას და ბ-ნ ანდრია გუგუშვილის თაოსნობით მოვიდე ლონდონიდან განსახილებულად, რომლისათვის ბ-ნ ანდრიას დიდ მადლობას მოვახსენებ; არც ა. ცაგარელის და არც ბ. ბლეიკის ჯვარის მონასტრის ხელნაწერთა აღწერილობაში ეს ხელნაწერი არ არის აღნიშნული და სულ უცნობია ლიტერატურაში.

აკლია და ტექსტი მეორე ფურცელზე ეხლა იწყება  
სიტყვებით:

გ-ნათოდა გონებად შენი საღმრთოთა მით  
ბრწყინვალებითა ლირსებით: და სული  
წ-მ მკადრი იყო სიყრმითგ-ნ შენთანა ანა-  
ნია. და გამოგაჩინა მოწამედ თქსა::.

თავდება ხელნაწერის ტექსტი 28 თებერვლის  
საგალობელით წმიდისა პროხერი ალექსანდრიილ  
პატრიარქისა, რომელიც დაბოლოვებულია შემდე-  
გი სიტყვებით:

ალიშვი სიმალედ წეცისა შენ მღდელ  
მოწამეო. და მისუედ წ-ე ლ-თისა შემკო-  
ბილი. გარდენითა მით მოლუაწე მის-მთა.  
ევედრე ჩუენთქს რ-ა მოგუცეს შენდობამ.  
შეცოდებათამ. მათიდებელთა შენთა::.  
გ-ნ ვენაჭო მალლისაო ნაყოფიერო::.

შემდეგ მიმატებულია:

სხუა გ-ი წ-დისა პროხერისი პპოო თ-ა  
სეკტენბერსა სამსა. ო თ ლ ლდყა აქ ბდით  
კ-ა . ეპა დ-ბლნი და. ქ-ე კაცო მ-ყრე თანა.  
და გ-ბლნი კ-მ დ-: ფარაოს ეტლები მ-თ ზ-ა.  
შემინდვეთ პრ-ვლ მუნ დეიქტერნ. დედასა  
ეგრე ეწერა. აქა მით არღარა დაწერებნ::.

ამის შემდეგ გადამწერის ანდერძია ასეთი:  
სახელითა ლ-მთა: განსრობლდა: ესეცა: \*)  
წიგნი: სამით თთუმ დეკენდერი იანგარი და ფეხე-  
რვალი: ბრძნებითა: და მოლუაწებითა: ლ-თშე-  
მოსილისა: მამისა: და მოძლურისა: გ-ი: პროხერე-  
სითა: ქ-ნ ამათ: კ-ლთა წ-თა მისთა თანა: დ-ბლ ყავნ:  
სული მათი: სასუფეველსა ცათასა: ა-ნ::.  
ლ ცვას მომიქ-ნო ც-დვლი უცბ-დ. მჩხრეკალი (sic)  
იოვანე.

დვალი. წ-ნო მ-მნო. და რ-ი დამეკლოს შემინდვეთ  
ლ-ნ გარწმ-ნოს:

ვინ ეს წიგნი რ-აცა მიზეზითა მონასტე \*)  
რსა ჯ-რისასა გამოაკუას. შემცა ჩუენე  
ბულ არს კ-ა ყ-ლნი მწვალებელი და სული-  
მცა მისი დაშვილ არს ყყ ლთანა ლ-ისა გ-ნმარისე-  
ბელთა::.

შეიმოსა კელითა კრთხლისა ძმისა ნისთერე-  
ონისითა. ლ-ნ ალუბოცენ კ-ნი ბ-რლნი მისნი ლ-ცყვთ  
მისთქს წ-ნო ძ-ნო::.

შეუმოქრებლად ეს სტრიქონები იყითხება:

სახელითა ლმრთისამთა, განსრულდა ესეცა წი-  
გნი სამით თთუმ, დეკემბერი, იანგარი და ფეხერვალი,  
ბრძნებითა და მოლუაწებითა ლმერთშემოსილისა  
მამისა და მოძლურისა გიორგი-პროხერესითა, ქრი-  
სტემან ამათ ყოველთა წმიდათა მისთა თანა დიდე-  
ბულ ყავნ სული მათი სასუფეველსა ცათასა, ამინ.

ლოცვასა მომიქსენეთ ცოდვილი უცბად მჩხრე-  
კალი (sic) იოვანე დვალი. წმინდანო მამანო, და რო-  
მელი დამეკლოს, შემინდვეთ, ლმერთმან გარწმუნოს.

ვინ ეს წიგნი რამსაცა მიზეზითა მონასტერისა  
ჯუარისასა გამოაკუას, შემცა ჩუენებულ არს, ვითა-

\*) ეს სტრიქონი ასომთავრულით არის ნაწერი.

რცა ყოველნი მწვალებელი, და სულიმცა მისი და-  
შვილ არს ყოველთანა მრმოთისა განმარისებელთა.

შეიმოსა კელითა კურთხეულისა ძმისა ნისთე-  
რენისითა. ლმერთმან ალუბოცენ ყოველნი ბრძალ-  
ნი მისნი, ლოცვა ყავთ მისთქს, წმინდანო ძმან!

თარიღი გადაწერისა არ არის, მაგრამ ჩვენ ვი-  
ცით, გიორგი-პროხერე აღმაშენებელია განთქმული  
ჯვარის მონასტრისა იერუსალიმის მახლობლად,  
გიორგი მისი ერობის სახელია, პროხერე ბერობის.  
მისი თაოსნობით და ბრძანებით არა ერთი წიგნი  
გადაწერილა ჯვარის მონასტრისათვის თვით ჯვა-  
რის მონასტერში და სხვაგანაც. გადამწერი ჩვენი  
ხელნაწერისა ბერი იოვანე დვალი ცნობილია სხვა  
ხელნაწერებიდანაც. სხვათა შორის მასგადაუწერია  
ამავე ჯვარის მონასტრეში 1055 წელს ხელნაწერი:  
«ცხოვერებამ და შესხმავ დიდისა ბასილისი, თქმუ-  
ლი გრიგოლ ლვითისმეტყველისამ» (იხ. ცაგარელის  
კატალოგი № 105 და რობერტ ბლეიკისა № 14). სი-  
ტყვები «განსრულდა ესეცა წიგნი» ცად ყოფს,  
რომ გადამწერს სხვა თთუმის საგალობლებიც გა-  
დაუწერისა და მასთან ესეცა. ეტყობა მთელი წლის  
საგალობლები ოთხ წიგნათ ყოფილა გაყილი, სამ-სამი თვის საგალობლელი თითო წიგნში. ამ ხელ-  
ნაწერს არც ცაგარელი იხსენიებს თავის კატალოგ-  
ში, არც რ. ბლეიკი, მაშასადამე ის წინეთ ყოფილა  
გამოტანილი ჯვარის მონასტრიდან, ვიდრე ა. ცაგა-  
რელი იმოგზურებდა იერუსალიმში. გიორგი მთა-  
წმინდელის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ პროხერე  
აშენებდა ან ამთავრებდა შენობას ჯვარის მონასტ-  
რისა თეოდორა დეოფოლის დროს საბერძნებში (1054-1057), მეორე მხრით პროხერე 1066 წლის შემ-  
დგომ აღარ ყოფილა ცოცხალი \*). დანამდვილებით  
თარიღი მისი გადაცვალებისა არ ვიცით. ჩვენი ხელ-  
ნაწერი უნდა იყოს გადაწერილი 1056-1066 წლებს  
შუა. ამ ხელნაწერში შენაულია ორი ქართველთა  
წმიდათა საგალობელი, წმიდისა აბოსი ფურც. 189  
verso—195 და წმიდისა ნინო მოციქულისამ, ფურ-  
ცელი 221 verso—224 verso.

აბოს საგალობლელი, რომელიც უშვალოდ მოს-  
დევს 7 იანგრის, წყალთა კურთხევის საგალობლელს,  
ჩვენს ხელნაწერში იწყება ასე:

განძლიერდა ძალითა ქ-ესითა. ლუაწლით შემოსილი  
აბო. წინააღმდეგმაც მტერთა. და სირცხვილეულყვნა  
იგინი მადლითა ს-ლისა წმიდისამთა::.  
მოსწრავედ წინა ალუდგა აბო. ძალითა ჯ-რისამთა  
სიმძლავერესა. მას უშვალულოთასა. და დაამდაბლა  
ს-ქდლი მ-თი შეწევნითა ქ-ესითა::.  
დღეს დათხეულითა სისხლითა უბიწოთამთა. ახოვან-  
მ-ნ მწმ-ნ. მოიგო ქ-ესიგ-ნ ზ-ცს. გარგარი ბრწყინვალე  
და მეობ არს ჩ-ნ მგალობლელთა მისთათ-ს::.

ბოლო:

უძლეველო მოწამეო. სრბად კეთილად აღასრულო.

\*) იხილე დავით ყიფშიძის გამოცემული ცხოვ-  
ერება პროხერესი, კავკასიის ისტორიულ არქეოლო-  
გიურ ინსტიტუტის მოამბეში («იზვესტია»), ტ. II,  
გვ. 37, შე. 2.

და აწ მკერძობარ ნათელსა მას. გამოუთქმელსა. ეველ-  
რს ქსა. და დამდაბლნეს მტერნი ჩნი აბო. და  
მოსცეს

ძლევა. მეფესა ჩნსა: არამთუ::.

ნაწილი ამ საგალობელისა შეადგენს ვარიანტს  
პ. ინგოროვას მიერ გამოცემული აბოს საგალობე-  
ლისა დაწყებული რპბ გვერდიდან რპბ გვერდა-  
დის, სტრიქონები 24—174 \*). არ არის ჩვენს ხელნა-  
წერში ტექსტი, რომელიც შეიცავს ინგოროვას  
გამოცემაში პირველ ათ გვერდს (ა-ი), შემდევ როზ-  
რპბ გვერდს, სტრიქონები 1—23, კიდევ რპბ—რპბ  
გვერდებს, სტრიქონები 175—200. სამაგიროდ ჩვენს  
ხელნაწერში ხუთი გვერდი უკავია ტექსტს, რომე-  
ლიც ინგოროვას გამოცემაში არ არის.

შანინოს საგალობელი იწყება ასე:

იანვარსა: იდ: წ-დისა: ნინო: მოცელისა:

ო-ო ღღ-ღყსა: გ-მ: დ გ-ი::.

შ სსწლთა ზა სსწლი სკრელ-ლთამ. რ სუეტი იგი  
ცხორებისა მომცემელი. დედაკაცისა მიერ მყის  
ალემართების.

და დბ-ის მეტყუელებს ქართველთა ენამ და  
ილტვიან არმათ ზადენთა ძალი. შ. რავდენი მადლი  
მოგუცენ ქ-ე ნინოს მიერ. რ-ლითაც. აცხოვენს ულ-  
ნი ჩნი ვ-ა მოწყალე ხარ::.

მადლისა ზიარსა მას ნინოს. მოვედით მორწმუნენო.  
და

ერთობით პატივ ვსცემდეთ. რ ასე არს მსგავსი  
მცელთამ.

რ-ი მოივლინა ჩრდილოსა ქ-ყნად. და მათლითა  
საღმრთომ-  
თა გამომიგნენა. შ. შურომანი (sic) შენი სნტრ-ლო  
მოცელო: ღ-თისა მიერ. რ-ნი იღვწენ ჩ-და მომ-რთ  
მეობ გუყ-ვ ჩ-ნ-ს.

ბოლო:

ონ-თმ: ნინოსი: გ-მ ა- გ-ხ-ნთა ზ-ა:

გ-ხნ რ-ი პბრწყინავ. მოლუაწეო მცელთა თანა  
ნინო: რ სწორად მათისა ილუაწე და სწორი  
გვირგვნი. მათნათა მოიგე. ვ-ა მოსტ. პ-რელ. მთასა  
მას. ზ-ა სინასა შჯული მოილო, ეგრეთვე შენ. მთასა  
ზ-ა ლოცვითა მოიხუნენ. ათნი მცნებანი, და  
ბრძანებით მოივლინენ: ქ-ლექ სამეუფოდ მცხეთად.  
რ-ა უქადაგო შენ, ქ-ე ღ-ი ჯ-რცმლი. რ-ი იშვა ქ-ლ-  
წლისაგან. და აწ. მას ევერდოს: მონიჭებად სულთა  
ჩ-ნთა ღიღი წყალობამ::.

ეს საგალობელი სულ სხვაა ვიდრე საბინინის  
მიერ გამოცემული საქართველოს სამოთხეში  
(გ. 156—167), მაგრამ ახლოა ჩემს მიერ გამოცემულ  
ჭელიმისეულ საგალობელთან (იხ. აღწერა წერა-  
კითხვის ხელნაწერთა, ტომი II, გვ. 806—812), თუმცა  
განსხვავებაც თვალსაჩინოა, ჭელიშისეული ტექსტი  
უფრო ვრცელია.

უკანასკნელ გვერდზე ჩემი ხელნაწერისა სხუა  
ნუსხურით და უფრო მეტალის მელნით მაგრამ მე-  
11-12 საუკ. ხელით მოყანილია «დასდებელი წმი-  
დისა გრიგოლი ლეთის მეტყველისანი. გიხილეს რამ

\*) ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფი-  
ლისი 1913.

ქ-ე ამას ზ-ა გ-დ ბ::: ამის ბოლოს უწერია:

«მაკარი გლახა ლოცვასა მომიგენეთ ამათთა თარ-  
გმანი::»

ამგვარივე ხელით და მელნით აქ იქ აშიებზე ხელ-  
ნაწერში გვხდება მინაწერები, დამატებანი საგალო-  
ბელთა ან ცნობები, თუ რომელ თვეში არის კიდევ  
ხსენება ამა თუ იმა წმიდანისა.

ხშირად საგალობელები აკროსტიხებით არის წა-  
რმოდგენილი და ამ შემთხვევაში აღნიშნულია წით-  
ლურით: «აკრისტიხონნი». მეთაური ასოები აკრო-  
სტიხებისა ნაწერია ყოველთვის სინგურით და ეს  
ასოები შეადგენენ ფრაზებს, მაგალითად:

1. მოძღუარსა შევამკობდეთ ერნო.
2. მამასა მამათასა ლუვაწლით განშუენებულ სა  
საბას უგალობდეთ.
3. მაცხოვარისა შობასა უგალობდეთ.
4. მაცხოვარისა მოსლეასა და ბეთლემს შობასა  
წმიდისაგან ქალწულისა დასთა ზეცისა განწყუბილთათანა უგალობდეთ.
5. ქრისტეს შობას ყოველი შევამკობდეთ.
6. სილიბისტროსს რომთა ვასკულავსა ვაქებდეთ  
ერნო. მამათმთავართა კრებული დღეს ჩუქ-  
თანა იხარებს სულიერად.
7. აპა ესერა მოწევის ქრისტე ნათლის ლებად.
8. დოდებულს მაქსიმეს უგალობდეთ.
9. ტიმოთეს მთიებსა ეფესომსასა უგალობდეთ.
10. მეოს მეყავენით ყოველნო წმიდანო წინაშე მე-  
უფისა დღესა მას განკითხვისასა.
11. გრიგოლის ღმრთის მეტყველსა ვაქებდეთ.
12. იოვანეს და არკადის ქებით შევასხამ დღეს.
13. იგნატის ნაწილთა აღმოყვანებად რომით ან-  
ტიოქიას.
14. გალობით შევასხმიდეთ მოწამესა ელიას.
15. ნიკიფორე მოწამესა უგალობდეთ ერნო ქებით.
16. ბლასისის მდებლეთ მოძღუარსა შევამკობდეთ.
17. გიხარდოენ ქრისტეს მოწამეო პამტილი.

მერმენდელი ხელით მინაწერები ხელნაწერში  
სულ ცოტაა და უმნიშვნელო. ეხლანდელ აღნიშნულ  
მეორე გვერდზე მხედრული ასოებით მე 16 საუკ. ხე-  
ლით სწერია:

ზენგიას შეუნდნეს ღმერთმან

აღწერილი ხელნაწერიდან ჩემნ გვაქვს სამი დი-  
დი და ერთი პატარა ფოტოგრაფიული სურათი,  
რომელიც შეიცავს ეხლანდელ პირველ გვერდს  
ხელნაწერისა, უკანასკნელ ფურცელს და ბოლოსი-  
ტყვაობას საგალობელისას.

ექ. თაყაიშვილი.

## შოთა რუსთაველის დღეები საჩართველოში და რუსთავი

ქართული სიტყვის მშვენიერების, ქართულ სინიდისის სიმაღლის და ქართულ გონიერის გამოხატველ დიდებულ შოთას დღესასწაული დიდის ზემოთ იქნა გარდახდილი არა მხოლოდ პოეტის სამშობლოში, —ქართველი ერთ როგორც ერთი კაცი აღტაცებით მიეკეთოს რუსთაველის დიდებას. აბა, რა გასაკვირია, —არამედ რუსეთის კავშირის ტერიტორიაზედაცა.

არცეს ამბავი არის გასაკვირი, თუ გაიხსენებთ, რომ ამ კავშირში ერთი ხება, ერთი ხელი ჰქმის დარსაცა და ავდარსაცა. საკმარისია ამ ერთის ხელის გაქნება, რომ მთელმა კავშირმა საუცხოვოდ გაწერთნიო რაკესტრსავით იმას ააყოლოს აკომპანიერები, რასაცა უბრძანებენ.

მაგრამ არ შეგვიძლია არ მოვაკეიოთ უურადება ამ სახეობო დღეების ერთ მოვლენას, იმას, რომ, მიუხედავად იქაურ საზოგადო აზრის მონურ მორჩილებისა, ყველა იმ წერილებსა და სიტყვებში, რომელიც წარმოითქავა და დაიწერა რუსთველის სახელის სადიდებლად, ნათლად ხანს და გარკვევით ისმის ნაკარხახევ ვაშას ძახილის გარდა კიდე სხვა არა: გულწრფელი განცვიფრება და ნამდობლი აღტაცება დიდებულ შემოქმედების და უკვდავქმნიების წინაშე.

ჩამოაშორეთ ამ სიტყვებსა და წერილებს ის ოფიციალი და რუსეთის კავშირში საესალდებულო სტალინის და ბოლშევიკურ რეუიმის დიდება, გვერდი აუარეთ ბოლშევიკურსავე ტრაბას, ჩევნა ვართ, რომ აღმოვაჩინეთ რუსთაველიო; —აღმოჩენას ვინ სჩიგის, —ჩევნ შეკვეთი გვნიოს რუსთველიო; ან კიდევ, რუსთველის პოემა ჩევნის აზრების დაგვირგვინება არისა, —უურადებას ნუ მიაქცევთ ამ, როგორც მოგახსენეთ, გალობის სავალდებულო ჩასართავს, რომლისა იქნება არცა თვით მთქმელს სჯერდების არაფერი, და თქვენ მაინც დაგრძებათ ჩევნის ეროვნულ სამაყის, რუსთველის სწორი დაფახება, მსოფლიო პანთეონში მისთვის უდიდესთა შორის საპატიო ადგილის მიეუთვენება.

ქართველებისათვის რუსთაველი იმ თავითვე ყველა დროის და ყველა ქვეყნის უდიდეს პოეტთა სწორი იყო.

ქართველების ასეთ შეხედულობის და ამგრძნების გამოთქმა იყო ტფილისის ქართულ თეატრის ჭერხე და აზატული სუთ თუ ექვს მედალიონად გაყოფილი ფრესკა, რომელშიაც მოთავსებული იყო უდიდეს გენიოსთა სახეები: დანტე, რუსთველი, შექსპირი...

ამიტომ ამ წერილში ჩევნ არ ვეხებით ქართველ ავტორების დაფახებას რუსთველის პოემისას და მხოლოდ რუს მწერლების აზრებს მოგახსენებთ.

საკმარისია თვალი გადაკლოთ მხოლოდ წერილების სათაურებს, რომ დარწმუნდეთ, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მათხე ამ ფასუპოვარ ლიტერატურულ საუნჯეს, აზრთა და გრძნობათა

რა დაუშრეტელი სიმდიდრე აღმოუჩენიათ რუსთველის უკვდავს ლექსებში: «მსოფლიო პოეზიის დიდებული ნიმუში (პეტრენკო), «მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი» (აკადემიკოსი ორლოვი), «გმირი ერი» (ოსიპოვი) «პოეტი და მსოფლიო» (ტიხონოვი), «დიდი ჰუმანისტი» (მალინინა), «ვაჟკაცობის მუსანი» (დავითოვი).

და უნდა ითქვას სიმართლე, ყველა ეს მწერლები საუცხოვოდ ჩატვირთებული რუსთველის ღრმა ეროვნულობას, მის აზრთა სიღრმეს, მის მაღალ გრძნობათა სიწმინდეს და ძლიერებას და მის წარმტაც ლექსთა სიღიადეს.

რუსთველი ხომ სიბრძნის, მაღალ გრძნობათა და სიტყვის სილამაზის ის დაუსრულებელი იყენება, რომელშიაც რაც უნდა უბადორუქმა მებადურმა გადისროლის ბაზე, ხელუალიერი მაინც არ დატეხება.

გენიოსობის მთავარი თვისება ის არის, რომ ის უდავოა. მაგრამ მაინც უნდა აღინიშვნოს «ვეფხვის ტყაოსნის» ყველმხრივ მნიშვნელობის ის შეენგძა, რომელიც გამოიჩინა რუსეთის მწერლობაშ და საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა, —ამ ბოლო ტრომდის ხომ სახელიც არ გაეგონათ მისი.

... «რუსთველის პოემა ძეირფასია ჩემთვის», სწერს ვინგებ სტუდენტი კუჭულევიჩი, «თავისის ნაკვეთის ფორმით, თავისის სიღრმით და გატაცებულ მგრძნობიერებით, თავისის სიბრძნით და საუცხოვო აფრიზებით, სახეთა სისწორით და სიმდიდრით. ეს ხალხურ ფოლკლორზე (მხოლოდ ფოლკლორზე თუ თვით ხალხის ცხოვრებაზე დამის თვისებებზე? ვერ გვითმენს გული, არ შეენიშნოთ) აღმოცენებული ნაწარმოებია, რომელმაც გენიოს სტატის ხელში მიიღო იდეალური ფორმა და ამ სახით დაუბრუნდა და ეროვნულ ცხოვრების სიღრმეში შეიქრაა...»

მეორე, ბ. ისაპოვი, უფრო ვრცლად ლაპარაკობს «ვეფხვის ტყაოსნის» სარკეობაზე ქართულ ეროვნულ ცხოვრებისათვის:

... «რუსთველის პოემის შესანიშნავი სახეები საქართველოში შეპრენა თავისუფლებისა და დამტკიცებლობისათვის გმირულ ბრძოლებში... ტარიელ, ფრიდონ, ეს ის ქართველი რაინდებია, რომელიც შექმნა ქართველ ერის წარმოდგენამ და შეგნებამ...»

... «იყო ისტორიული მომენტი, როდესაც საქართველომ შეიძლო თავის ძალთა გამლა. მან ისარეგებოა ეს მყუდროება, რომ კაცობრიობის თვალშინ გადამალა თავისი მაღალი კულტურა და ეძღვნა მისთვის რუსთველის გენიალური პოემა»...

მართლაცაც, ქართულ სინამდიდრეს რომ ამ მოეცა რუსთველისათვის სახეთა და ხასიათთა ის სიმდიდრე, რომელიც აზდაგს მის პოემას, ის მაღალი თვისებანი ადამიანისა, საზოგადოდ, და დედა

ქაც-მამაკაცისა, კერძოდ, როგორც მაღლი და წმინდა სიყვარული, თავგანწირული და უანგარო მეგობრობა, გმირობა და რაინდობა,—ყველა ეს იმ სალაროდან რომ არ ეჩირნა, რომელსაც წარმოადგენდა ქართველ ერის ცხოვრება, რუსთველის პოემა მაინც შევენიერი დარჩებოდა აღბატ, —ნიჭი და შემოქმედება მისი პირადი ლირსებანია, —მაგრამ მას მოაკლდებოდა ის, რაც ნიჭითან ერთად ჰქმნის მის უკვდავ გენიალობას, —სინამდვილესთან სისწრავა და ბუნებრივობა.

რუსთველის გენიოსობაც ის იყო, რომ ერში გაბნეულ ზენობრივ წარმოდგენათ, მის გრძებისევე ნამოქმედას, მის ნააზრსა და ნაფიქრს, ეროვნულ ხასიათის თვისებათ თავი მოუყარა და წარმტაცის ლექსით, მძღვანის, შეუდარებელ სილამაზის და ნაყვეტის სიტყვით გამოთქმულ ნესტანის და ტარი ელის ამბის სახით ერსავე დაუბრუნა და ამ სახით «წყობილ მარგალიტის» ხიდი გასრო თავის დროისა და მომავალ ქართველ თაობათა შუა და პირადად თავისტვის—უკვდავებისკენ.

მაგრამ... მაგრამ დახეთ ბერის ამ ახირებას, მის აცინებას.

აღიდებენ და გუნდრუქს უკრავენ წმიდა და მალო სიყვარულის დიდებულ მგოსანს,—

«მიკნურობა სხვა რამე, არ სიძეისა დასაბარი; იგი სხვა, სიძეა სხვა, შუა უზის დიდი მზარი», —

და მერე სად?

სწორებენ იქ, სადაც თვით კანონმა წაბილწა ეს მაღალი გრძნობა.

აღიდებენ და ტაშს უკრავენ უდიდეს გმირობის. უმაღლეს რაინდობისა და უანგარო მეგობრობის მომლერალს,—

და მერე ვინ?

ის რეჯიმი, რომელმაც დასმენა, დაბეჭდება და გამცემლობა უდიდეს მოვალეობად დაუსხა თავის მოქალაქეს და გმირობისა და რაინდობის ნაცვლად მონურ გრძნობებს უნერგავს გულში.

ან კი მხოლოდ და მხოლოდ ბერის ახირების მოხერია ცხოვრების ეს წინააღმდეგობა?

თუ იმავ უკვდავ მგოსნისა არ იყოს,  
«ბოროტსა სძლია კეთილმან, —არსება მისი გძელია!»

ამ კეთილისა, მაღალის და წმიდის წინაშე თავს იღრექს ბოროტება, რადგან ამის არსება მოკლეა.

დარბაისებლი.

## ბ ა თ უ მ - ა ჭ ა ს ი ს გ ხ ა ს რ ე ბ ი

(ფურცლები რვეულიდან)  
(გაგრძელება)

... არც ბათუმი იყო რუსეთის შეიქ იარალით აღებული. ოში დამარცხებულმა სამალეთმა იგი რუსეთს დაუთმო საზაფრ ხელშეკრულების ძალით. მაგრამ ის ზავიც, რომ არ ყოფილიყო, ბათუმი და მთელი მისი მხარე მაინც შეუერთდებოდა საქართველოს ტერიტორიას, რადგან ახეთი იყო ადგილობრივი მუსულმან ქართველების წადილი; ეს შეერ-

თება იქნებოდა ბუნებრივი შედეგი იმ ქართულ პატრიოტულ ნაბიჯისა, რომელიც შერიც დევ ხიმშიაშვილის ჯგუფმა გადასდგა აჭარის შესახებ. ბევრი აბაშიძეები ბათუმში ნაკლები ქართველი პატრიოტები არ იყვნენ ხიმშიაშვილებზე.

რუსების ჯარი, გენ კომაროვის სარდლობით ბათუმში რომ შევიდა, იქ ჯერ კიდევ სამალოს რაზმი იდგა. მასსოვს, სამალოს ჯარის კაცნი ორ ყაზარმაში იყვნენ დაბანაკებულნი. ერთი მათგანი ის შენობაა, სადაც შემდევში Hotel de France იმოთავდა, მეორე კი რუსებმა ეკლესიად გადაკეთეს. კარგად მასსოვს სამალოს ჯარის უფროსი, გომეფაშა, მუქი სათვალეებით ნერვიულად ბოლოთას, რომ სცემდა თავის ყაზარმების წინ. თავისალუნული და ჩაფიქრებული, თითქოს დარცხვენილი. თორმეტი წლის კადეტი, სამხედრო წესით, სალამს ვაღლევდი ხოლო ფაშას, რომელიც სულ იმას ელოდა, რომ სტამბოლიდან მაღა მოსულიყო გემი ყველა მათ წასაყვანად. მართალია, თურქების უკანასკნელი ეშალონების წასვლით ბათუმი რუსეთის აღმინისტრაციულ უკანტრად გახდა, მაგრამ საქმე ბუნებრივი ისე დატრიალდა, რომ იგი ნამდგილ ქართულ ქალაქდ გადაიცა. მოაწყდა ყოველ მხრივ ქართველობა, მოხელენი თვისი ოჯახებით, ვაჭრები, იწყო ქალაქის მოშენება, რაშიცა სწორედ ქართველ ებს ერგოთ პირველობა; გაიხსნა მაღა ქართული სკოლა, გაება კვაშირი ტუილისის ქართულ უკანტრალურ საზოგადოებრივ დაწესებულებებთან. მცხოვანმა მოღაწეებ დიმ. ყიფიანმა გამოუგზავნა მამახემს და ნოტარიუს პერებულების ორი წესდება ქართველ თაშორის წერა-კითხვის საზოგადოებისა, წინადარებით, რომ ბათუმსა და მის ლოქში გახსნილიყო ხაზოგადოების განყოფილება და დარსებულიყო ქართველ მუსულმანთათვის სკოლები. ქართველმა დრამატულმა საზოგადოებამ გამოგზავნ თავისი დას. სადაც შედიოდენ ჩენი უკეთესი მსახიობნი. ბოლოს ბათუმის თვითმართველობაც ქართველების ხელში გადავიდა. ერთი სიტყვით, ქართველები აძლევდნ ტრის მთელს ქალაქს და მით ჩენი გავლენა ქალაქის გარეთაც გამაგრდა. რასაკვირველია, კველა ეს უცბად არ მომხდარა. ქართველებს დიდი ბრძოლები დასჭირდათ თავისი პოზიციების შესაწარჩენებლად, როგორც რუსეთის მოხელეების ქართველმანთათვის შესაბამის იყო მისი გალამაზება და გალაზათანება, ამოაზრო იღვლივ ჭაობები, ხელი შეუწყო სავაჭრო პოსტის აშენებას და განვითარებას... მაღა ბათუმს მოაწყდა ყველა ქეყნის გემები, დატვირთული ყოველგვარი საქონელით, როგორც ადგილობრივი დანიშნულების ისე სატრანზიტო. ამ ხანაში ბათუმი, ეს ახალი ქართული ცენტრი, იტევა 30-40 ათას მცხოვრებს, მაშინ, როდესაც 1879 წ. იგი უფრო პატარა, მიგდებულ დაბას მიაგანდა, სადაც მოსახლეობა 2.000 სულს არ აღმატებოდა.

თუ რამდენად იყო მთელი საქართველო გატა-ცებული სურვილით, რომ ახლად ნაპოვნი ძმები მაღა მჭიდროდ დაკავშირებოდენ დიდ ქართველს

ოჯახს, დავინახავთ იმ წერილებიდან, რომელ 1879 წ. იწერებოდა ქართულს გამოცემებში. აი რას სწერდა ჩვენი დიდი მოღვაწე ილ. ჭავჭავაძე: «ეხლა ჩვენ ერთი დიდი და უძიდესი მოვალეობა გვაწევს: ძმებს ძმურად უნდა დაგხდეთ ყველგან და ყველა-ფერში. უნდა იმათვისაც ვიზრუნოთ, როგორც ჩვენთვის; იმათვისაც თავი გამოვიდოთ, როგორც ჩვენთვის; თუ ჭირში ვუძეთ, ჭირში მივემველენით, ჩვენი ერთმანეთის დაურღვეველის კავშირის გაბ-მაც უკველია... ყველის ერთობისა, ამალებული ადამიანისა! აი ჭირთა ამხდელი სახსარი კეთილდღისა, მომფენი ლონისძიება! სწავლა ცოდნა მეცნიერება ლონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვე-ლარაფერო უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე».

როდესაც რუსულმა მართველობამ თავისებუ-რად დაიწყო ახლად შემოქრთებულ პროვინციებს დაჩაგრა-შევიწროება—დაიწყო ქართველ ტურქ-მანთა აყრა და ნაწილობრივად ოსმალეთში გადასა-ხლება, ამანედ ილია მრისსანედ სწერდა: «ეს რა ამ-ბავია, რა ამბავია... ადამიანი კიდევ ადამიანია ქვე-ყანაზედ თუ განადირდა, გამხეცდა. რომ გვერდით ადამიანს ვეღარ იყენებს, ვეღარ იშვენებს, ვეღარ ითვისებს? ხალხი თავის ათასწლობით დამკიცრე-ბულ ბინიდან იშლება და მიღის... ეს დაუჯვერებე-ლი ტვინის შემრეცვი ამბავი მხოლოდ შეიძლება მაშინ მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიანა:—ან სიკვდი ლი ან სიცოცხლეო. სხვა არა მიზეზს არ შეუძლიან ხალხს თავი ასე გამოამტებინოს, ასე ხელი აალები-ნოს თავის ბინაზედ, თავის მამულზედ, თავის დეფუ-ლზედ და გარდაიხვეწოს გინ იცის საითა»... («ი. ჭა-ვჭავაძე და აჭარა» გან. «ლიტერატ. გაზეთი» 10 სექ-ტემბერი 1937 წ.).

თავისი ქართული ხასიათი ქ. ბათუმს, არც რე-ვოლუციის დროს, არც ოსმალებისა და ინგლისის მოკლე ვადიან იყუბაციების ხანაში და, როგორც ისმის, არც დღეს დაუკარგავს. პირადად დრამატი-ზმით სახვე წაემი განვიცადეთ, როდესაც 1918 წ. ბათუმში მოვიხდა მისვლა. იქ მაშინ ცნობილი ბა-თუმის კონფერენცია იყო თავმოყრილი და ბათუმი ისმალეთს ეპყრა. რადგან მოსალონდნელი იყო, რომ ამ კონფერენციაზე ბათუმის საკითხიც დასმულიყო, როგორც ამ ქალაქის საქმეების მცნობი, მეც მოცხ-დი ტფილისის დელეგაციაში. მალე გამოირკვა, რომ კონფერენციის სხდომებმა სულ სხვა მიმართულება მიიღო, მე იქ გასაკეთებელი აღარა მქონდა რა და დაგბრუნდი ტფილისში. მოკლე ვადით ბათუმში დარჩენის დროს ისმალების ბრძანებლობას რომ ვხედავდი და ვგრძნობდი ქართველობის დაჩაგვას, სულ ის ფაზა მაგრნდებოდა, ჩემი ჭაბუქობის დროს ბათუმის ქუჩებში რომ ვხედავდი ხოლმე—ჩაფიქრე-ბულს და დაღონებულსა...

(დასასრული იქნება)

გ. ქურული.

## ი ლ ი ა

ასე უვლიდა, ასე სათუთად ეპყრობოდა მწერა-ლი იმ ახალს, რომელსაც საქართველოს ცხოვრება-ში კვირტივით თავი ამოეყო, ძევლის დამცელებს და შემოსეულ მტერის დამხმარებლებს თავისივე მშობელის წინაამდეგ კი შეუძრალებლად უთვლიდა:

«თვევნებან ჩაგრული, დაბრმავებული ერი ჯვრებზე არ გაგვიყიდია, ქვეყნისა ბედი და ხსნის იმედი თვევნებრ ხელში მჩვრად არ გაგვხდომია, კაცის მნეობა, კაცის ზნეობა თვევნებრ ჩინებით არ გვიზომია». ა...

და აი მოვიდა დრო და «გადავარდა» ბატონ-ყმობა: რუსეთის იმპერატორის ბრძანებით «განთა-ვისუფლდა» ქართველი მშრომელიც,—ქართველი გოვენ. ამ «განთავისუფლებამ» განთავისუფლება არ მოიტანა:—არც სოციალ-ეკონომიურად,—არც გრი უძეტეს ფსიქოლოგიურად.—მართალია, დურსა-ბისა და თარეჯანის ადგილი არჩილმა დაკესომ და-იკავეს, და ესენი «ლიტერატურით» აფასებენ ადამიანს და არა «გვარიშვილობით»;—ისიც მართალია, რომ ოთარაანთ ქვრივი და მისი შვილი გიორგი აღარ ჰგვანან ბატონყმობის დროის დედასა—და მაჟაცას გლეხობის წინდან... მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა: «ჩატეხილი ხიდი» ჩატეხილად დარჩა, ორივე ნაპი-რი ერთი მეორისაგან თითქმის იმავე მანძილით და შორებული.

— აკი კესო ვერ მიუხვდა გიორგის სულის ტანჯ-ვას:—ვერ წაიკითხა ვაეკაცის გულის ფიცაზე და-წერილი სიყვარულის ამბავი.—და მა უბნება მას: «კაცი თურმე თავს გველებოდა და შენ ვერც კი მი-უხვდი სიყვარულს... არ გიყვარდა შენ იმავე მიზე-ზით, რა მიზეზითაც არ შეირთავდი: გლოხეკაცი იყო... მეც ასე მოვიკეცოდი... აი რა დიდი კედელია ჩვენსა და მათ შორის! ჩვენი სისხლ-ხორცის კედელია, ქინი-თკირია, ქვითქირი!.. ჩვენ რომ გვკითხოთ, ვითომ დი-დი ხანია გადაგვიცევითა ეგ მაგარი კედელი. მაგრამ რით? მარტო წიგნისაგან გაალმასებულ ენითა. ენით ვაქცევთ და გული კი ისევ ებდაუჭება, ისევ აშენებს, აგებს»—ლ. და თუ ეს ხდება იქ სადაც ისეთი სათუთი და ფაქიზი გრძნობა მეტყველებს, როგორიც სიყვა-რულია, რა უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც სხვა და სხვა «გვაშიშვილობის» ადამიანთა შორის ქონებ-რივიგი ინტერესები ალაპარაკდებიან... ცხოვრებულ მიერ «გადაშლილ წიგნს წაკითხვა» გავებით უნდა... საუკუნოებით ჩატელილ ტრადიციების აღმოფხრა, ამოგდება ერის ცხოვრებიდან არც ისე ადგილი სა-ქმეა, რადგან მა ლრმა სოციალ-ეკონომიური, პო-ლიტიკური და ფსიქოლოგიური ფესვები ასაზრდო-ებენ. — მაგრამ იმედის დაკარგვა არ არის საჭირო:— ჩატეხილი სიდი მაინც გამოირჩება და გამოთევ დება მაშინ, როდესაც «ცრემლიანი ცოდნის ნამი გაბეგრ-დება, მდინარე წყლად იქცევა და მთელ ტიგს მოი-ტანს... ორსავე ნაპირის გასაერთიანებლად»—ე. ი. მაშინ, როდესაც ტანჯვაზე აგებული შეგნება ყოველ დაბრკოლებას გადალახავს.—და ეს ამბავი გრძელია, გზა შორი და ძნელი:—მის გავლას დიდი დრო უნდა,

დიდი მომზადება და მუშაობა, რადგან ადამიანის შეგნება ძლიერ ჩამორჩენილია.—შუბლით ჩვენ კე-  
დები ვერ გავანგრევთო—სტეფა ილია ჭავჭავაძემ...

ჯართველებო!—ერი იღუპება: გვართმევენ ენას. ეკლესიას, წარსულს, ანადგურებენ ჩვენს კულტუ-  
რას,—გვარუსებენ—დაიძახა მან —დაიძახა მან,—  
ყველაფერი «დაცემულ ვინაობისათვის», მის დაც-  
ვისათვისო.

«სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნ-  
და შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ... ყველადერს სულ  
მაგისაკენ უნდა მივიტრუნოთ თავი», —დინჯი, წინ  
დახედული მოქმედება გვმართებს; —იმ დიდ საქმეს,  
რომელსაც ახალ პირობებში უფრო დაცვა ესაჭი-  
რობა, ვიდრე შეტევით წინ წაყვანა, ფრთხილად  
უნდა მოვეცყრათ, შესაფერ დორს ვუცდით. ან ყვე-  
ლაფერი, ან სულ არაფერი!—ეს მოთხოვნილება და-  
მღვაცელია; —უნდა ვეცადოთ აჩქარებულ მრგებე-  
ბით ერი ხიფათს არ გადავკიდოთ. მანძილი დადია  
გასავლელი, —გზა ჯერ კიდევ გაჟევალავი, ეკლ იანი.  
«დიდს მანძილს კაცი ჭინებით ვერ გაივლის. დიდს  
მანძილს ზომიერი და მტკიცე ნაბიჯი უნდა... პირ  
ჩვენ იმის თქმა კი არ გვიხდა, რომ ფეხის აჩქარება  
მაგნებელი იყოს—ამბობდა ეხლა მამად ქცეუ-  
ლი «თერგდალეული» შვილების დასარიგებლი.

ეს ის დრო იყო, როდესაც ალექსანდრე II ეგრედ  
წოდებულ «ლიბერალურ რეფორმების ხანას»: ალე-  
ქსანდრე მე-III პოდენოსცევის სასტუკი რეაქცია და-  
ეპატრონა, რომელმაც ჩაალრჩო თავისუფალი აზრი,  
გაანადგურა საზოგადოებრივი თვითმოქმედების  
ყოველი ნასახიც კი და განსაკუთრებული სიმძიმით  
«ინოროცცებს», დაბყრობილ ერებს დააწვა, რომე-  
ლთა კულტურული განვითარება საშინელ საფრთ-  
ხეში ჩავარდა. —და თუ როგორ ტანჯავდა ილია ჭა-  
ვჭავაძეს ახალ მდგომარეობასთან დამოკიდებულე-  
ბის საკითხი, ამას მოწმობს ის ტრაგედია, რომელც  
გადაშალა მან მის მხატვრულ ნაწარმოებთა შორის  
ყველაზე განცილს, დამთავრებულ ს და ღრმა ვან-  
დეგილში». —ცხოვრების მიტოვება, სიცოცლის  
სილამაზის უარყოფა და განდეგილ ობა, თუ მასთან  
დარჩება მიუხედავად მრავალ უკუმართობისა,  
რომელსაც ის იტევს.

ცხოვრებასთან დარჩენა, სიცოცლის სილა-  
მაზის კვლავ განაცდა—გადასწყვიტა მგოსნია და  
ილია-საზოგადო მოღვაწეც შეურიგდა იმ აზრს, რომ  
ახალ მდგომარეობას, ახალ პირობებს ბრძოლის  
ახალი მეთოდები, ახალი საშუალებები ესაჭირე-  
ბიან.

ეროვნული ფიქტის გაღინდება, ქართველი ხალ-  
ხის ნებისა და ენერგიის ორგანიზაცია მტკიცე ყო-  
ველდღიური საქმიანობით, აგურის აგურზე გამაგ-  
რებით; —სკოლა, წერა-კითხვის გადაცელება, ქართ-  
ველების ერთი-მეორესთან დაახლოება—დაკავში-  
რება, ერის ეკონომიკურად მოღონიერება და ამისა-  
თვის სათანადო დაწესებულებათა დაარსება, ქართ-  
ული მწერლობის შესაფერ სიმაღლეზე აყვანა —ქა-  
რთული კულტურის განვითარება და დაცვა—აი რა  
არის საჭირო, რომ «ქართველობამ ხელი გაშალოს,  
დაქსაქსული, გაფანტული, ცალკედონული, ცალკე-

დონე-ქონებითი თუ გონებითი—ერის კვალში ჩაყა-  
ნოს საერთო და საყოველთაო მოქმედებისათვის»ო.  
და ამიტომ დიდი სიხარულით და იმედით ხვდება  
ილია მისივე უახლოეს მონაწილეობით «თავადაზ-  
ნაურთა საზოგადოების დარიბ მოსწავლეთა შემწე-  
ობისათვის», «წერა-კითხვის გამაგრცელებელ საზო-  
გადოების», «ქართული ოფატრის დასის», «ტფილი  
სის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკების» და-  
არსებას, თუ მათი მუშაობის კეთილდად წაყვანას,  
რადგან ყველაფერი ეს «ჩვენის საკუთარის თაოსნო-  
ბით და ლევალით არის მოყვანილი და ერთმანეთი-  
სათვის საერთო გულისტკივილით შემთხვევებული...  
ეს ნერგი დარგულია ჩვენში ჩვენის ყმაწვილ კაცო-  
ბის ხელით წარსულში და მომავლის დროების მო-  
ღვაწეთა იგი უნდა ჰქონია მხურვალუ ლილითა» ლ-  
ერთი რამ უნდა დაიწეროს საქართველოს შვილმა-  
თავის გულის ფიცარზე: —«ჯერ მაცოცხლე, მერე  
მაფიქრებინე როგორ გამდიდრდე»—და «სხვაზედ  
არაფერზედ წაიტყუოს ჭიუა და ხელი»... განადგუ-  
რება-გადაგარებისაგან, გარსებისაგან თავის და-  
ცვა, ეროვნულ მეობის შენარჩუნება და შენგხვა მო-  
მაგალ თაობათათვის—აი საითკენ უნდა იყოს მიმა-  
რთული ყოველი ჭეშმარიტი პატრიოტის მუშალბა.

«დიახ, ბატონებო, ჩვენს ვინაობას ჩვენ ცორვ-  
რებაში უსათუოდ გზა უნდა მიეცეს და ამაზედ ხმა  
უნდა ამოვილოთ... ხმა კანონიერი, ლინჯი, დარბაი-  
სლური და მშვიდობიანი. უამისოდ წარმატების გზა  
შელობილია.—ამ ერის ტაფაში თავადიც იწვის, აზ-  
ნაურიც, მლეველიცა და ერიც». —ამბობს ილია.  
და რადგანაც ეს ასეა, ამიტომ ქართველ ხალხის შე-  
მადგენელ ნაწილთა, წოდებათა თუ კლასთა შროის  
ვინაობის აღდგენისათვის აუცილებელი თანამშრო-  
ბა უნდა დამყარდეს; —ეგრედ წოდებული კლასთა  
ბრძოლა ანტიეროვნული მოვლენაა, ერის მთლია-  
ნობის დამღვაცელი, უარყოფითი და ამიტომ უარსა-  
ყოფილ. პიროვნულმა, კერძომ, წოდებრივგმა, გამოთ-  
შველმა ქედი უნდა მოისარონ საზოგადოს, საერთოს,  
შემარიგებელის, ყველაფერის დამფარავის—ეროვ-  
ნულის წინაშე, მის განსამტკიცებლად უნდა გადე-  
ბულ იქნას უდიდესი მსხვერპლიონ...

(დასასრული იქნება)

მ. —მე.

## ზორილი სოჭო დან

(ხისწოდის აღსაღებენად)

1938 წლის 6 თებერვალს ქ. სოჭოში შესდგა ქა-  
რთველ კოლონიის საზოგადო კრება ბ-ნ ბამატის  
უურნალ «კავკაზი»-ის შესახებ. მოწვეული იყვნენ  
ასოციაციის არაწერებელიც.

უურნალ «კავკაზი»-ში (თებერვალის ნომერი 2-9)  
ამ კრების გამო მოთავსებული იყო ყალბი ცნობა  
და წერილი 15 კაცის ხელმოწერილი, რომლებიც  
ერთგულებას და ყომბას ეფიცენტის პაიდარსა და  
მის თანამშრომელთ.

საჭიროა ფაქტი სისწორით აღინიშნოს და ერთ-  
ხელ კიდევ «კავკაზი»-ის და მისი თანამშრომლების

თუ ინფორმატორების სიყალბე ქართველმა საზოგადოებამ აშკარად დაინახოს.

სოშობი გამართულ კრებას მართლაც და სამწუხაოდ 32 კაცის მეტი ცერესტრო. დამსტრეტა-გან 19 კაცი შეუერთდა იმ აღმფორთების გრძელბას. რომელიც გამოთქმულია პარიზის ქართველთა 4 დეკემბრის 1927 წ. რეზოლუციაში.

12 კაცი იყო წინაამდევი და ერთიც თავს იჭერდა.

ქ. სოშობი და მის მიდამოებში ნამდვილად ცხოვრობს 61 ქართველი და როდესაც მათ გაიგეს უზრნალ «კავკასია»-ს ყალბი ცნობა, ვინც კრებას ვერ დაესწრო, შემოიტანეს კოლექტიური განცხადება შეკრევი შინაარსის: «რადგანაც ჩვენ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზნებთა გამო, არ გვქონდა საშვალება და გამოწერებოდით სოშობი 6 თებერვალს მომხდარ ქართ. კალონის კრებას, გთხოვთ შეუერთოთ ჩვენი ხმა იმ აღმფორთებას, რომელმაც პპრევა თავისი გამოხატულება პარიზის და სოშობს ქართ. კალონიათა კრებების მიერ მიღებულ რეზოლუციაში, იმ ანტიეროგნულ კამპანიის წინაამდევ, რომელსაც ეწევა ბამატის უზრნალი ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების საზიანოდ». ხელს აწერს 24 კაცი სახელმომბრძოლი:

ნ. ორაგველიძე, გ. ბერძენიშვილი, გ. ბერბიჭაიშვილი, ქ. ფირცხაიშვილი, გ. წივწივაძე, ა.ლ. მელქაძე, ს. მათითაიშვილი, დ. უორდანია, ლ. კაკულია, დ. მეგრელიძე, ს. ჩიქვილაძე, ვ. გაგებილაძე, ა. ალანია, ე. ცეცენტი, მ. ბურძგლა, ა. მელავა, გ. კვარცხავა, თ. ხედიგინიძე, ე. აბულაძე, მ. როვეა, ფ. ხმალაძე, ე. მცხეთელი, ს. მიქელაძე და ნ. თავაიშვილი.

ამას გარდა სამი ქართველი არც ერთს რეზოლუციას არ ემხრობა, თავს იკავებს.

სოშობი ქართველი.

### შარითვები პოლონეთში

კვირას 20 თებერვალს ვარშავის მართმადიდებელთა საკათედრო ტაძარში პოლონეთის ქართველთა კომიტეტის გამეობამ გადაიხადა პანაშვიდი განსცენებულ სვ. მღივნის სსოვნის საპატივსაცემლად. პანაშვიდი გადახდით გადახდილ იქნა ქართულად მამა გრიგოლ ფერაძის მიერ. დაესწრო დიდალი საზოგადოება; წარმომადგენლები: აზრბაიჯანის, მთის, უკრაინის და პოლონელი მეგობრები.

მიმდინარე წლის 3 მარტს პოლონეთის კლუბში გადახდილ იქნა სვ. მღივნის საპატივსაცემლად სამოქალაქო პანაშვიდი. პანაშვიდს დაესწრებ რუსეთის ულლის ქვეშ მყოფი ყველა ერის წარმომადგენლები, ქართველთა კოლონია და პოლონელი მეგობრები.

კოცელი მოხსენება განსცენებულის მოლვაწეობაზე გააკეთა კლუბის თავმჯდომარებ პროფ. სმალ-სტოციმ. სიტკები წარმოსთქვევს კავკასიის ერთა სახელით ბ. რასულ ზაფერ, ყირიმის და იდელ-ურალის აიაზ ისსაკიმ. თავმჯდომარებ თანაგრძნობა გამოუტარა იქ მყოფთ ენ. ა. ზაქარიაძეს, პოლონეს კლუბის თავმჯდ. მოადგილეს გ. ნაკაშიძეს და ქართ. კომიტ. თავმჯდ. კ. იმაძეს.

### შარითვები გერმანია

25 თებერვალს—ტფილისის დაცემის მე-17 წლის თავებთ—ბერლინის ქართველობამ გამართ ტრადიციული სამღლოვიარო კრება. წარმოთქმულ იქნა დღის შესაფერი სიტკები ქართულ და გერმანულ ენაზე. ბოლოს გადახდილ იქნა პანაშვიდი სამშობლოსთვის დალუბულთა მოსახლენებლად. პანაშვიდი გადაიხადა ბერლინის ბერძენთა საელჩის მართლმადიდებელმა მლვდელმა, რომელმაც განსაკუთრებით მოიხსენია მტრის მიერ ეხლახან დახოცილი ქართველი მეცნიერები, მწერლები და სხვა საზოგადო მოღვაწენი.

### რუსთაველის დღესასაული სოლინზი

საგანგებო კომიტეტი, რომელიც შესდგებოდა ფრანგებისაგან და რომელშიაც ქართველებიც იღებდენ მონაწილეობას, გასული წლის ნოემბრიდან შეუდგა რუსთაველის დღის მოწყობას. დეკემბერშივე აიღო სოლინზის უნივერსიტეტის დიდი დაბაზი. დღესასწაული ჯერ განზრახული იყო თებერვლის დამლევს, ხოლო შემდეგ საბოლოოდ დაინიშნა 30 მარტისთვის. შემუშავდა ფართო პროგრამა. მოწვეულ იქნენ ფრანგი და სხვა უცხოელი საკულტურო და სალიტერატურო ძალები, დამზადდა შესასრულებლად ქართული მუსიკის და სიმღერის ნიმუშები და დაიგზავნა რამდენიმე ათასი მოწვევის ბარათი. ყველა ინტერესით მოელოდა დღესასწაულს. ხოლო მოულოდნელად, კომიტეტისაგან სრულიად დამოუკიდებელმა მიზნებმა, ორი კვირის წინ საქმე შეაფერხეს. კომიტეტის ყოველი ცდა ამაღდ დარჩა და უკვე მომზადებული ლეგისასწაულის გამართვა შეუძლებელი გახდა.

### რეაგციის საბაზი

უადგილობისა გამო ამ ნუმერში ვერ იბეჭდება მეტად საყურადღებო წერილი ვ. ბორჩკოვსკისა (პოლონურიდან თარგმნილი) «პრომეთეს პრობლემა» და პრ. ექ. თავაიშვილის «ჩუმი მოლგაწის ისახე დაღიანის სსოვნას» (გარდაცალების წლის თავები).

გაზეთისათვის დასაბეჭდი მასალები და ფლექს

უნდა გამოიგზავნოს შემდგევი მისამართით;

M-r PIRTS KALAVA

10. rue Jules Ferry. Leuville-s.-Orgre (S.-et-O., France.)

Le Gérant : J. DUCROS